



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*09*“ --- *03* 2016 წელი

ეგზ. N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის 2013 წლის 1
იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *CV 12/36*

შინაარსი.....	2
1. შემოკლებები.....	3
2. შესაბამისობის აუდიტის მასშტაბი.....	3
3. ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	4
4. შემაჯამებელი მიმოხილვა.....	5
5. გამოვლენილი გარემოებები.....	6
5.1. ბიუჯეტის შესრულებლობა	6
5.2. აქტივების მოვლა - შენახვა, აღრიცხვა, მიღება-გასვლა.....	10
5.3. შესყიდვები	13
5.3.1. შესყიდვების სავარაუდო ღირებულებები.....	13
5.3.2. ავტობუსების შესყიდვის ტენდერი:	14
5.3.3. შპს „თბილისის პორტალი“:.....	15
5.3.4. შპს „სან XXII“	17
5.3.5. შპს „მეგკო“	19
5.3.6. შპს „მედია პორტი“	20
5.3.7. შპს „ვი ქომი“ და შპს „ნიში“	21
5.3.8. შპს „თიბისი თვ სტუდიო“	22
5.4. კაპიტალის გაზრდა, აქციების შეძენა და დამფუძნებელთა შენატანები	26
5.4.1. შპს „თბილისის პორტალი“ და ა(ა)იპ „თბილისის პორტალი“	26
5.4.2. შპს-ები „ჰერმესი“, „სინათლის ქალაქი“, „თბილსერვის ჯგუფი“ და „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“	27
5.4.3. აქციების შეძენა.....	28
5.5. შრომის ანაზღაურება.....	28
5.6. მივლინების ხარჯები	31
5.7. საწვავის ხარჯები	33
რეკომენდაცია:.....	36
5.8. საჯარო მოხელეთა კონკურსი.....	36
ხელმოწერები:	37

1. შემოკლებები

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია - თბილისის მერია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია - მერიის ადმინისტრაცია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა - თბილისის მთავრობა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ეკონომიკის სამინისტრო;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ - საბიუჯეტო კოდექსი;

2. შესაბამისობის აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა გამოიტანოს დასკვნა თბილისის მერიის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელმწიფო მოთხოვნებთან
- შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

თბილისის მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე. პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდარგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული კანონშესაბამიანობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულება და ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების უკეთ გაგებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. აუდიტის ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიშში ახსნილი უარყოფითი გავლენები, შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს ყველა იმ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ აღვნიშნავთ, რომ აუდიტორი არ არის პასუხისმგებელი ყველა იმ შესაძლო უარყოფითი შედეგების ანგარიშში ასახვაზე, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს მის მიერ ანგარიშში დაფიქსირებული აღმოჩენილი ნაკლოვანებებიდან.

3. ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

მერიის ადმინისტრაცია არის თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორგანიზაციულად უზრუნველყოფს თბილისის მერისა და ქალაქის მთავრობის საქმიანობას. ადმინისტრაცია ახორციელებს თბილისის მერის და მერიის თანამდებობის პირების, ქალაქ თბილისის და თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების საკადრო, ორგანიზაციულ, მატერიალურ-ტექნიკურ, საინფორმაციო - საკომუნიკაციო, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და უცხო ქვეყნის თვითმმართველობებთან ურთიერთობის უზრუნველყოფას, აგრეთვე უზრუნველყოფს თბილისის მერიაში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების მეთოდოლოგიურ დახმარებას და სამოხილიზაციო ღონისძიებების მართვას. ადმინისტრაციის საქმიანობაზე საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს თბილისის მერი, ხოლო ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობას უძღვება ადმინისტრაციის უფროსი. ადმინისტრაცია ანგარიშვალდებულია თბილისის მერისა და თბილისის მთავრობის წინაშე. ადმინისტრაციას აქვს დებულება, ბლანკი, ბეჭედი ადმინისტრაციის სახელწოდების აღნიშვნით, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სტრუქტურული ერთეულისთვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.

4. შემაჯამებელი მიმოხილვა

ძირითადი შედეგები:

1. არ შესრულებულა 2013, 2014 წლების და 2015 წლის 6 თვის მერიის ადმინისტრაციის ბიუჯეტის რიგი ხარჯების და პროგრამების მაჩვენებლები;

2. მერიის ადმინისტრაციაში არასრულყოფილად ხორციელდება არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა, არ არის დაცული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მოთხოვნები, რის გამოც არ არის უზრუნველყოფილი არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირება ბუღალტრულ აღრიცხვასთან. არსრულყოფილად ხორციელდებოდა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები, არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნები.

3. 2013 – 2014 წლებში შესყიდვების სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრისთვის არ ხდებოდა ბაზრის საფუძვლიანი კვლევა, რის გამოც დიდი იყო საბიუჯეტო თანხების არაეკონომიური განკარგვის რისკები. სავარაუდო სატენდერო ღირებულებები ხშირ შემთხვევაში ბევრად აღემატებოდა საბოლოოდ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების ფასებს.

4. 2013 წელს თბილისის სატრანსპორტო პარკის განახლებისათვის ავტობუსების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში არამართლობიერადაა გამოყენებული პრეტენდენტის მიმართ დისკვალიფიკაციის და ტენდერის შეწყვეტის უფლება.

5. 2013 - 2014 წლებში სატენდერო დოკუმენტაციებში საკვალიფიკაციო მოთხოვნებით ხელოვნურად იზღუდებოდა კონკურენცია და ექმნებოდა უპირატესი მდგომარეობა კონკრეტულ ერთ პრეტენდენტს, რითაც ირღვეოდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ბ) და გ) პუნქტები.

6. 2013 - 2015 წლებში სახელშეკრულებო მოთხოვნების დარღვევით, შესყიდვებისას არაჯეროვანი ინსპექტირების გამო, გადახდილია ასანაზღაურებელზე მეტი თანხები.

7. 2013 - 2014 წლებში, სათანადო დასაბუთების გარეშე, მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ოთხ შპს - ში შექმნილი იყო 11 წევრიანი სამეთვალყურეო საბჭოები, სულ 44 წევრი, თითოეულისთვის თვეში - 2500 ლარიანი ხელფასით, რისთვისაც მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან გახარჯულია 1,272,750 ლარი.

8. 2013 და 2014 წელს პრემიების გაცემისას არ არის დაცული თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის N05.11.128 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა პრემირების წესის“ მოთხოვნები.

9. 2013, 2014 წლებში დანამატები გაცემული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის და „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით, ასევე 2013, 2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში დანამატების გაცემისას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო კლასიფიკაციით” განსაზღვრული დანამატის ცნების გაუთვალისწინებლად, დანამატის გაცემის დასაბუთებების გარეშე ადგილი აქვს თანამშრომლებზე წლის დასაწყისში წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტებს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატისას.

10. 2014 წელს მერიის ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი კონკურსის დროულად ჩატარება, რითაც არ იქნა დაცული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები. შედეგად, მერიის ადმინისტრაციის 41, კეთილმოწყობის სამსახურის 33 და ზედამხედველობის სამსახურის 59 დროებით მოვალეობის შემსრულებლები დანიშნისა და კონკურსის გავლის გარეშე მუშაობდნენ თვენახევარის განმავლობაში.

5. გამოვლენილი გარემოებები

5.1. ბიუჯეტის შესრულებლობა

2013, 2014 და 2015 წლის 6 თვეში არ შესრულებულა მერიის ადმინისტრაციის მიერ ბიუჯეტის რიგი ხარჯების და პროგრამების მაჩვენებლები. შესრულებამ შეადგინა:

-2013 წელს: მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10.2) - 97.6%; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 2.7) - 87.4%; მოძრავი ქონების აღრიცხვა და მოვლა შენახვა (კოდი 2.9.8) - 80.7%; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 7.2.3) - 79.2%; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 7.2.4) - 31.5%.

-2014 წელს: მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10.2) - 92.1%; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 2.7) - 94.8%; მოძრავი ქონების აღრიცხვა და მოვლა შენახვა (კოდი 2.9.8) - 89.4%; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 7.2.3) - 87.0%; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 7.2.4) - 65.0%.

-2015 წლის 6 თვეში: მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10.02) - 72.4%; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02.07) - 24.0%; ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობის მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება (კოდი 02.09.08) - 62.6%; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07.02.03.01) - 9.2%; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07.02.04) - 36.4%.

2013, 2014 და 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება წარმოდგენილია შემდეგი ცხრილების სახით:

2013 წელს მერიის ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯების და განხორციელებული პროგრამების შესრულება

	2013 წელი	დაზუსტებული ბიუჯეტით	საკასო ხარჯი	შესრულების %	ფაქტიური ხარჯი
კოდი	პროგრამების დასახელება და ხარჯების კლასიფიკაცია				
10.2	მერიის ადმინისტრაცია	29,235,642	28,532,136	97.6	24,049,850
	ხარჯები, მ.შ.	26,535,697	25,837,770	97.4	24,049,850
	შრომის ანაზღაურება	17,380,110	17,347,269	99.8	17,347,207
	სარგო	3,384,775	3,376,906	99.8	3,376,907
	პრემია	10,924,556	10,899,638	99.8	10,899,576
	დანამატი	3,070,779	3,070,724	100.0	3,070,724
	საქონელი და მომსახურება	7,349,227	6,703,035	91.2	6,403,788
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	322,500	315,275	97.8	315,275
	მივლინებები	560,000	449,335	80.2	449,335
	ოფისის ხარჯები	2,795,660	2,488,999	89.0	2,310,610
	წარმომადგენლობითი ხარჯები	658,000	577,365	87.7	579,926
	რბილი ინვენტარი, უნიფორმა ...	244,000	205,767	84.3	158,455
	ტრანსპ. და ტექნიკის მოვლა-შენახვა	2,327,772	2,262,196	97.2	2,190,883
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	441,295	404,095	91.6	399,304
	სოციალური უზრუნველყოფა	133,500	124,644	93.4	124,644
	დამქირავებლის მიერ გაწეული	133,500	124,644	93.4	124,644
	სხვა ხარჯები, მ.შ. სხვადასხვა ხარჯების	1,672,860	1,662,821	99.4	174,211
	მიმდინარე	174,500	174,211	99.8	174,211
	კაპიტალური	1,498,360	1,498,610	100.0	-
	არაფინანსური აქტივები	2,643,945	2,638,400	99.8	-
	ძირითადი აქტივები	2,643,945	2,638,400	99.8	-
	ფინანსური აქტივები	56,000	55,966	99.9	-
2.7	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	4,525,000	3,956,955	87.4	
	ხარჯები	4,452,310	3,884,327	87.2	3,823,416
	საქონელი და მომსახურება	4,452,310	3,884,327	87.2	3,823,416
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	4,452,310	3,884,327	87.2	3,823,416
	არაფინანსური აქტივები	72,690	72,628	99.9	-
	ძირითადი აქტივები	72,690	72,628	99.9	-
2.9.8	მომრავი ქონების აღრიცხვა და მოვლა შენახვა	516,800	416,886	80.7	416,886
	ხარჯები	516,800	416,886	80.7	416,886
	მ.შ. საქონელი და მომსახურება	516,800	416,886	80.7	416,886
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	516,800	416,886	80.7	416,886
7.2.3	საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა	2,328,400	1,844,963	79.2	1,844,963
	ხარჯები	2,328,400	1,844,963	79.2	1,844,963
	მ.შ. საქონელი და მომსახურება	2,328,400	1,844,963	79.2	1,844,963
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2,328,400	1,844,963	79.2	1,844,963
7.2.4	საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება	150,000	47,324	31.5	47,324
	ხარჯები	150,000	47,324	31.5	47,324
	მ.შ. საქონელი და მომსახურება	150,000	47,324	31.5	47,324
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	150,000	47,324	31.5	47,324

2014 წელს მერიის ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯების და განხორციელებული პროგრამების შესრულება

	2014 წელი	დაზუსტებული ბიუჯეტით	საკასო ხარჯი	შესრულების %	ფაქტიური ხარჯი
კოდი	პროგრამების დასახელება და ხარჯების კლასიფიკაცია				
10.2	მერიის ადმინისტრაცია	24,895,300	22,921,585	92.1	22,693,455
	ხარჯები,	24,469,424	22,663,385	92.6	22,693,455
	შრომის ანაზღაურება	16,220,750	15,947,525	98.3	15,947,522
	სარგო	3,575,560	3,522,844	98.5	3,522,844
	პრემია	9,337,990	9,217,121	98.7	9,217,121
	დანამატი	3,307,200	3,207,561	97.0	3,207,557
	საქონელი და მომსახურება	7,769,014	6,276,324	80.8	6,320,559
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1,072,650	1,066,870	99.5	1,066,870
	მივლინებები	546,000	409,063	74.9	408,587
	ოფისის ხარჯები	2,709,844	2,135,631	78.8	2,045,022
	წარმომადგენლობითი ხარჯები	363,500	217,766	59.9	251,056
	რბილი ინვენტარი, უნიფორმა ...	147,000	102,478	69.7	90,078
	ტრანსპ. და ტექნიკის მოვლა-შენახვა	2,577,600	2,014,274	78.1	2,128,704
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	352,420	330,242	93.7	330,242
	სოციალური უზრუნველყოფა	305,600	301,761	98.7	301,761
	დამქირავებლის მიერ გაწეული	305,600	301,761	98.7	301,761
	სხვა ხარჯები - სხვადასხვა ხარჯების	174,060	137,775	79.2	123,613
	მიმდინარე	150,060	113,775	75.8	123,613
	კაპიტალური	24,000	24,000	100.0	-
	არაფინანსური აქტივები	419,400	251,724	60.0	-
	ძირითადი აქტივები	419,400	251,724	60.0	-
	ვალდებულებები	6,476	6,476	100.0	-
	ვალდებულებების დაფარვა	6,476	6,476	100.0	-
2.7	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	3,181,000	3,016,323	94.8	2,978,442
	ხარჯები	3,171,523	3,006,846	94.8	2,978,442
	მ.შ. საქონელი და მომსახურება	3,171,523	3,006,846	94.8	2,978,442
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3,171,523	3,006,846	94.8	2,978,442
	არაფინანსური აქტივები	9,477	9,477	100.0	-
	ძირითადი აქტივები	9,477	9,477	100.0	-
2.9.8	მომრავი ქონების აღრიცხვა და მოვლა შენახვა	364,000	325,270	89.4	325,270
	ხარჯები	364,000	325,270	89.4	325,270
	მ.შ. საქონელი და მომსახურება	364,000	325,270	89.4	325,270
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	364,000	325,270	89.4	325,270
7.2.3	საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა	1,243,000	1,081,823	87.0	1,081,823
	ხარჯები	1,243,000	1,081,823	87.0	1,081,823
	მ.შ. საქონელი და მომსახურება	143,000	131,823	92.2	131,823
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	143,000	131,823	92.2	131,823
	სხვა ხარჯების - სხვადასხვა ხარჯების	1,100,000	950,000	86.4	950,000
	მიმდინარე (კაპიტალის გაზრდა)	1,100,000	950,000	86.4	950,000
7.2.4	საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება	622,350	404,424	65.0	622,253
	ხარჯები	622,350	404,424	65.0	622,253
	მ.შ. საქონელი და მომსახურება	622,350	404,424	65.0	622,253
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	622,350	404,424	65.0	622,253

2015 წლის 6 თვეში მერიის ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯების და განხორციელებული პროგრამების შესრულება

კოდი	2015 წლის 6 თვე,	დაზუსტებული ბიუჯეტით	საკასო ხარჯი	შესრულების %	ფაქტიური ხარჯი
	პროგრამების დასახელება და ხარჯების კლასიფიკაცია				
10.02	მერიის ადმინისტრაცია	7,565,550	5,480,041	72.4	5,386,336
0	ჯამური	7,565,550	5,480,041	72.4	5,386,336
2	ხარჯები, მ.შ	6,644,186	5,260,812	79.2	5,386,336
2.1	შრომის ანაზღაურება	2,646,930	2,373,771	89.7	2,372,963
	სარგო		1,599,672		1,598,864
	პრემია		373,410		373,410
	დანამატი		400,689		400,689
2.2	საქონელი და მომსახურება	3,389,995	2,288,878	67.5	2,370,634
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		75,349		74,629
	მივლინებები		116,781		83,266
	ოფისის ხარჯები		1,247,820		1,224,646
	წარმომადგენლობითი ხარჯები		30,514		42,861
	რბილი ინვენტარი, უნიფორმა, ჰიგიენის საგნ.		87,673		179,818
	ტრანსპ. და ტექნიკის მოვლა-შენახვა		623,317		649,395
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		107,422		116,019
2.6	გრანტები, მ.შ.	372,200	372,166	100.0	372,166
2.6.2	გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს (მიმდინარე)	2,200	2,166	98.5	2,166
2.6.3	გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს (ცენტრალურ ბიუჯეტს, მიმდინარე)	370,000	370,000	100.0	370,000
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	99,900	96,451	96.5	96,451
2.8	სხვა ხარჯები (სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები)	135,162	129,546	95.8	174,122
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	815,960	113,850	14.0	-
33	ვალდებულებების კლება - საშინაო- კრედიტ.დავალიანება	105,403	105,380	100.0	-
2.07	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	903,030	216,382	24.0	209,045
0	ჯამური	903,030	216,382	24.0	209,045
2	ხარჯები	753,030	209,554	27.8	209,045
2.2	საქონელი და მომსახურება	735,106	203,339	27.7	207,041
2.2.3	ოფისის ხარჯები		1,225		1,225
2.2.10	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		202,114		205,816
2.8	სხვა ხარჯები	17,924	6,215	34.7	2,004
2.8.2.1	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები		1,508		2,004
2.8.2.2	სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები		4,707		-
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	150,000	6,828	4.6	-
02.09.08	ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობის მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება	1,264,020	791,181	62.6	823,927
0	ჯამური	1,264,020	791,181	62.6	823,927
2	ხარჯები	1,264,020	791,181	62.6	823,927
2.2	საქონელი და მომსახურება	1,264,020	791,181	62.6	823,927
2.2.3	ოფისის ხარჯები		418		418
2.2.8	ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები		2,940		2,940
2.2.10	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		787,824		820,569
07.02.03.01	საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა	232,000	21,344	9.2	24,592
0	ჯამური	232,000	21,344	9.2	24,592
2	ხარჯები	232,000	21,344	9.2	24,592
2.2	მ.შ. საქონელი და მომსახურება	232,000	21,344	9.2	24,592
2.5	ოფისის ხარჯი		21,344		24,592

07.02.04	საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება	598,000	217,829	36.4	-
0	ჯამური	598,000	217,829	36.4	-
2	ხარჯები	380,171	-		-
2.2	მ.შ. საქონელი და მომსახურება	380,171	-		-
31	ვალდებულებების კლება	217,829	217,829	100.0	-

2015 წლის გეგმის შეუსრულებლობაზე მერიის ადმინისტრაციის განმარტება ¹, რომ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების“ (კოდი 2.7) და „ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობის მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირების“ (კოდი 2.9.8) ქვეპროგრამები არ შესრულდა დაგეგმილი ასიგნებებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შეუსაბამობის ე.ი. არასწორი დაგეგვის გამო და ასევე, თბილისში 13 ივნისის განვითარებული სტიქიის გამო, დაგეგმილი ღონისძიებები ჩაიშალა (მითითებული არ არის რომელი ღონისძიებები), ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამამართლებელად არ მიგვაჩნია, რადგან 13 ივნისამდე ხუთ თვეზე მეტი იყო გასული.

5.2. აქტივების მოვლა - შენახვა, აღრიცხვა, მიღება-გასვლა.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში არსრულყოფილად ხორციელდებოდა არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა, არ არის დაცული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ (შემდგომ 2015 წლის 1 იანვრიდან „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-18, მე-20 და 21-ე პუნქტების მოთხოვნები², რის გამოც არ არის უზრუნველყოფილი არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირება ბუღალტრულ აღრიცხვასთან.

არსრულყოფილად ხორციელდებოდა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები. კერძოდ, არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შემდეგი მოთხოვნები: მუხლი 3. სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა: პუნქტი 1. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად –

¹ მერიის ადმინისტრაციის 2016 წლის 30 იანვრის N6/17277 წერილი: „2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების“ (კოდი 2.7) და „ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობის მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირების“ (კოდი 2.9.8) ქვეპროგრამები ძირითადად ითვალისწინებს სახელმწიფო და რელიგიური ღონისძიებების (26 მაისი, თბილისობა, ახალი წელი და სხვა) ტექნიკურ უზრუნველყოფას, ღონისძიებების უმეტესი ნაწილი დაგეგმილია მე-3 და მე-4 კვარტალში, ხოლო მე-2 კვარტალში, ქ. თბილისში 13 ივნისის განვითარებული სტიქიის გამო, დაგეგმილი ღონისძიებები ჩაიშალა.“

²18. ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ელექტრონულ ან ქაღალდის რეგისტრებში (ყურნალები, ბარათები და სხვ.).

20. ბარათები ინახება კარტოთეკებში, რომლებშიც ისინი ლაგდება ანგარიშებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით. მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან დადგენილი წესით იდება წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. ყოველი თვის დამთავრებისას, ანალიზური აღრიცხვის ბარათებზე ჯამდება თანხები და გამოიყვანება ნაშთები ანგარიშების მიხედვით.

21. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველთვიურად დგება ბრუნვათა უწყისები ანალიზური ანგარიშების ყოველი ჯგუფისათვის და ბრუნვათა უწყისების ანალიზურ ანგარიშებზე ბრუნვები და ნაშთები უდარდება „მთავარი წიგნის“ შესაბამისი ანგარიშების ნაშთებს.

საბიუჯეტო წლის ბოლოს, პუნქტი 2. ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს; მუხლი 4. ინვენტარიზაციის ჩატარების სარეკომენდაციო ვადები.³

სააუდიტო პერიოდში, 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 25 აგვისტომდე მოქმედებდა თბილისის მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის N02.04.35 დადგენილებით შექმნილი თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების საინვენტარიზაციო კომისია⁴. ზემოაღნიშნულ კომისიას 2013 წელს ჩატარებული აქვს 14 სხდომა, განხილულია 10 ინვენტარიზაციის (აღწერის) აქტი⁵, ხოლო 2014 წელს კი - ივლისის თვის ჩათვლით, კომისიას ჩატარებული აქვს 8 სხდომა, რომლებზეც განხილულია 6 ინვენტარიზაციის (აღწერის) აქტი⁶.

აღნიშნული ინვენტარიზაციებიდან 15 შემთხვევაში ინვენტარიზაციები ჩატარებულია ინვენტარის ჩამოწერის ან სხვადასხვა ორგანიზაციებზე მათი გადაცემის შემთხვევაში, ხოლო ერთ შემთხვევაში ჩატარებულია მერიის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების 2013 წლის სავალდებულო ინვენტარიზაცია (აქტი N10). თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის, აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მთავარი ბუღალტრის 2014 წლის 25 დეკემბრის N10-9/14359559 მოხსენებითი ბარათის თანახმად: ვინაიდან საფინანსო სამსახურში არ ყოფილა წარდგენილი წლიური საინვენტარიზაციო აქტი (შედარების უწყისისა და ინვენტარიზაციის შედეგად გადახრების უწყისთან ერთად), რომელიც განხილული და დამტკიცებული იქნებოდა ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, თვითნებურად ვერ მოხდებოდა საბუღალტრო ჩანაწერების გაკეთება, რომელიც გამოიწვევდა

³ მუხლი 4,

ა) ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;

გ) ნედლეულის და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;

ვ) ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;

ზ) საწვავის – ყოველთვიურად;

კ) ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

⁴ ქალაქ თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის N02.04.35, 2013 წლის 15 იანვრის N02.11.23, 2014 წლის 6 ივნისის N15.24.702 დადგენილება.

⁵ 2013 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციები: შპს „თბილისის ავტობუსის“ და შპს „ქალაქ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ კაპიტალებიდან ამოღებული ქონებისა (აქტი N1); სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქციის შედეგად დემონტირებული ლითონის შემცველი ქონების ინვენტარიზაცია (აქტი N2); ააიპ „ვიქტორ დოლიძის სახელობის მე-15 ხელოვნების სკოლისათვის“ გადასაცემი მოძრავი ქონების (150 ცალი სკამის) ინვენტარიზაცია (აქტი N3); მერიის მიერ დაფუძნებულ სხვადასხვა იურიდიულ პირებზე საკუთრებაში გადასაცემი მოძრავი ქონების აღწერა (აქტი N4); ქალაქ თბილისის ისნის რაიონის გამგეობისა (აქტი N5); შპს „სასწრაფო სამედიცინო ცენტრისათვის“ გადასაცემი მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია (აქტი N6); თბილისის მერიის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული და გამოუსადეგარი მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია (აქტი N7); ააიპ „ქალაქ თბილისის ს. ზაქარიაძის სახელმწიფო ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯისა“ და სსიპ „ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისათვის“ საკუთრებაში შენატანის სახით გადასაცემი მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია (აქტი N8); შპს „ჰერმესისათვის“ გადასაცემი მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია (აქტი N9); მერიის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების 2013 წლის სავალდებულო ინვენტარიზაცია (აქტი N10).

⁶ 2014 წელს აგვისტომდე ჩატარებული ინვენტარიზაციები: შპს „თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტ „თბილისი-SPA“ ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრისთვის“ (აქტი N1); შპს სამედიცინო ამბულატორია „ფონიჭალასათვის“ საკუთრებაში გადასაცემი მოძრავი ქონების აღწერა (აქტი N2); 2006-2013 წლებში შეძენილი და იმ დროისათვის გამოუსადეგარი საახალწლო ილუმინაციების და აქსესუარების აღწერა (აქტი N3); შპს „საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლებლიდან“ მიღებულ, აგრეთვე ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ჩამოსაწერი ქონებების ინვენტარიზაცია (აქტი N4); შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრისათვის“ საკუთრებაში გადასაცემი მოძრავი ქონების აღწერა (აქტი N5); ქალაქ თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული და გამოუსადეგარი მოძრავი ქონების აღწერა (აქტი N6).

ბალანსიდან ინვენტარის ჩამოწერას ან პირიქით ბალანსზე აყვანას⁷. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მერიაში ინვენტარიზაციები ფაქტიურად არ ტარდებოდა. ტარდებოდა მხოლოდ ინვენტარის აღწერა და აღნიშნული მონაცემები არ უდარდებოდა ბუღალტრულ მონაცემებს. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არ ხდებოდა ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანა და შესაბამისად მათი ასახვა ბუღალტრულ მონაცემებში. ამასთან, მატერიალურ პასუხისმგებელ პირებთან არ იყო გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ⁸.

2014 წლის 25 აგვისტოს თბილისის მერის N276 ბრძანებით - ძალადაკარგულადაა გამოცხადებული ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის N02.04.35 დადგენილება „ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“ და შექმნილია ახალი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების საინვენტარიზაციო კომისია“⁹. ამავე ბრძანებით საინვენტარიზაციო კომისიას დავალებული ჰქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობებში (შარტავას ქ.N7; აღმაშენებლის N140ა; დიდმის მასივი, VI კვარტალი, 23-ე კორპუსი; ვაჟა-ფშაველას გამზ. N99 და მიცკევიჩის ქ. N29-29ა-ში) საქალაქო სამსახურების მიხედვით 2014 წლის 18 სექტემბრამდე, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის საკუთრებაში არსებულ 5 სასაწყობო ბაზაში (საწყობები ქვემო ფონიჭალაში, კახეთის გზატკეცილი N49ა-ში, გომიაშვილის ქუჩა N28-ში, თვალჭრელიძის ქუჩა N17-ში და ელბაქიძის აღმართზე) 2014 წლის 30 სექტემბრამდე. შემდგომ, ინვენტარიზაციის ვადა შესაბამის ბრძანებებით გაგრძელებულია 2015 წლის 30 აპრილამდე. ინვენტარიზაცია ფაქტიურად მიმდინარეობდა 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის მაისამდე. ზემოაღნიშნულ კომისიას ჩატარებული აქვს 7 სხდომა, რომლებზეც განხილულია 35 ინვენტარიზაციის შედეგების აქტი.

საინვენტარიზაციო კომისიის 2015 წლის 30 აპრილის ბოლო სხდომაზე (ოქმი N7) განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის ქონების ფაქტობრივი აღწერის მონაცემების მერიის ბალანსთან შედარების შედეგები და შედგენილია ინვენტარიზაციის შედეგების აქტი, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობებსა¹⁰ და მერიის კუთვნილ ხუთ სასაწყობო ბაზაში¹¹ ჩატარებული მერიის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) მოძრავი ქონების ფაქტობრივი აღწერების შედარებით დადგენილია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მიხედვით 4,887,797.0 ლარის ღირებულების 11,659 ნივთს (ამ მონაცემებში არ შედიოდა ქალაქის მასშტაბით არსებული ქონება, ავტომობილები და ის წვრილი ინვენტარი,

⁷ მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის, აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მთავარი ბუღალტრის 2014 წლის 25 დეკემბრის N10-9/14359559 მოხსენებითი ბარათი

⁸ თბილისის მერიის 2015 წლის 30 ოქტომბრის N38/41624 წერილი საქართველოს მთავარ პროკურორატურას

⁹ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 25 აგვისტოს N276, 8 სექტემბრის N551, 18 სექტემბრის N764, 28 ოქტომბრის N1477, 2015 წლის 6 აპრილის N1860 ბრძანებები.

¹⁰ შარტავას ქ.N7; აღმაშენებლის N140ა; დიდმის მასივი, VI კვარტალი, 23-ე კორპუსი; ვაჟა-ფშაველას გამზ. N99 და მიცკევიჩის ქ. N29-29ა-ში;

¹¹ საწყობები ქვემო ფონიჭალაში, კახეთის გზატკეცილი N49ა-ში, გომიაშვილის ქუჩა N28-ში, თვალჭრელიძის ქუჩა N17-ში და ელბაქიძის აღმართზე.

რომელთაც საინვენტარიზაციო ნომერი არ გააჩნდათ) შეედარა 8,653 ნივთს, ღირებულებით - 2,416,070 ლარი. გამოვლენილია დანაკლისი - 3,006 ნივთის, 2,471,726 ლარის საერთო ნარჩენი ღირებულებით. ხოლო, ზედმეტობა გამოვლენილია 2,363 ნივთის (ღირებულება უცნობია, რადგან მათი შეფასება არ განხორციელებულა).

თბილისის მერიის მიერ, ინვენტარიზაციის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის 2015 წლის 30 ოქტომბრის N38/41624 წერილით, გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

5.3. შესყიდვები

5.3.1. შესყიდვების სავარაუდო ღირებულებები

შესყიდვების სავარაუდო ღირებულებები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა საბაზრო ფასებს, რის გამოც სავარაუდო სატენდერო ღირებულებები ბევრად აღემატებოდა საბოლოოდ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების ფასებს, მაგალითად:

N	შესყიდვის საგანი	პერიოდი	სავარაუდო ღირებულ.	სახელშეკ. ღირებულ	სხვაობა (ლარი)	%-ული სხვაობა
	1	2	3	4	5	6
1	ტრენინგით მომსახურება	2013	36,750	7,476	29,274	391.6%
2	ფოიერვერკების შესყიდვა	2013	200,000	99,990	100,010	100.0%
3	ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონის მწვანე საფარის პლასტმასის დამცავი საფარით მოწყობის მომსახურება	2013	21,000	6,648	14,352	215.9%
4	დასუფთავების მომსახურება	2013	315,000	170,340	144,660	45.9%
5	ქ. თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველსაყოფად კარვების მოწყობის მომსახურება	2014	39,816	13,998	25,818	184.4%
6	ქ. თბილისში რკინის დამცავი (შემზღუდავი) ჯებირების გაწყობა-ალაგებისათვის საჭირო მომსახურება	2014	114,755	47,990	66,765	139.1%
7	ქ. თბილისში სპეცფექტებისა და მხატვრული ფიერვერკების შესყიდვა	2014	50,000	23,000	27,000	117.4%
8	სხვადასხვა პრინტერის კარტრიჯები	2015	53,858	24,000	29,858	124.4%
9	საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშები	2015	60,000	29,160	30,840	105.8%
10	ავტომატურად გასაკრავი სტიკერები	2015	16,800	3,885	12,915	332.4%
11	რკინის დამცავი (შემზღუდავი) ჯებირების გაწყობა-ალაგებისათვის საჭირო მომსახურება	2015	98,000	40,000	58,000	145.0%

სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრა ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის გარეშე წარმოშობს საბიუჯეტო თანხების არარაციონალურად, არაეკონომიურად განკარგვის რისკებს.

2014 წლის სექტემბრის თვიდან შემსყიდველის მიერ სავარაუდო ღირებულებების დადგენის მიზნით ჩატარებული რიგი სამუშაოები და ბაზრის კვლევები დადასტურებულია შესაბამისი ოქმებით. თუმცა ზოგ შემთხვევაში დაფიქსირებულია დიდი განსხვავებები სავარაუდო და სახელშეკრულებო ფასს შორის, რომელიც, მერიის განმარტებით, გამოწვეულია ბაზრის კვლევის ეტაპზე, ბაზრის კვლევაში მონაწილე კომპანიების მიერ გადამეტებული სავარაუდო ღირებულებების მოწოდებით, რომლებიც შემდგომ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად აფიქსირებენ გაცილებით დაბალ ფასებს.

5.3.2. ავტობუსების შესყიდვის ტენდერი:

არამართლზომიერად იქნა გამოყენებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის და ტენდერის შეწყვეტის უფლება. კერძოდ, 2013 წლის 4 ნოემბერს თბილისის სატრანსპორტო პარკის განახლებისათვის გამოცხადებულია ტენდერი ავტობუსების შესყიდვაზე. სატენდერო განაცხადების მიღება წარმოებდა 20-დან 25 ნოემბრის ჩათვლით. ტენდერის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრული იყო 55,550,000 ლარი. სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა 100 ერთეული I კლასის M³ კატეგორიის არანაკლებ 85 ადგილიანი ავტობუსის შეძენას. ტენდერში მონაწილეობას იღებდა 5 პრეტენდენტი: „Solaris Bus & Coach S.A.“ (პოლონეთი), „KAREX“ (ჩეხეთი), „თეგეტა ტრაქ ენდ ბას“ (საქართველო), “Zhengzhou Yutong Bus Co..LTD” (ჩინეთი) და “XIAMEN GOLDEN DRAGON BUS CO” (საქართველო-ჩინეთი).

სატენდერო ვაჭრობის შედეგად უმცირესი ფასი 31,660,101 ლარი წარმოადგენილი ჰქონდა “XIAMEN GOLDEN DRAGON BUS CO”-ს.

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებების ოდენობა
KAREX, a.s.	53,328,000 25.11.2013 16:06	55,550,000 22.11.2013 19:22	[2]
თეგეტა ტრაქენდბას	48,807,236 25.11.2013 16:32	51,934,155 25.11.2013 15:56	[3]
Solaris Bus & Coach S.A.	48,656,719 25.11.2013 16:34	49,521,662 25.11.2013 15:45	[4]
Zhengzhou Yutong Bus Co..LTD	31,660,626 25.11.2013 16:35	34,903,912 25.11.2013 15:55	[4]
XIAMEN GOLDEN DRAGON BUS CO	31,660,601 25.11.2013 16:38	33,000,000 25.11.2013 15:25	[4]

სატენდერო კომისიის სხდომის N2 ოქმის¹² მიხედვით, უმცირესი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტს დაევალა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება - სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რაც შესრულებულია ვადების

¹²ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის 27.11.2013წ. სხდომის#2 ოქმი

დაცვით. ამის მიუხედავად, სატენდერო კომისიის სხდომის N3 ოქმის¹³ თანახმად საუკეთესო წინადადების წარმოდგენი პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა. დისკვალიფიკაციის მიზეზებში მოყვანილია ისეთი არაარსებითი დეტალები, როგორიცაა მაგალითად: „სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად მოთხოვნილი სკამების შალითა დამზადებული უნდა იყოს ჭუჭყის გამძლე მასალისაგან, ხოლო პრეტენდენტის წინადადებით წარმოდგენილი აქვს ლაქების გამძლე მასალის შემოთავაზება“; „სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია საქარე მინა ცელოფნის წებოვანი შრით, ძარაში ჩაწებებული, ხოლო პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულია - ჩაწებებულია, როგორც წინა, ასევე უკანა საქარე მინაზე“ და ა.შ.

პრეტენდენტის მიერ სატენდერო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის თაობაზე გასაჩივრებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოში. საბჭოს გადაწყვეტილებით¹⁴, სატენდერო კომისიის მიერ “XIAMEN GOLDEN DRAGON BUS CO”-ს დისკვალიფიკაცია ჩაითვალა უკანონოდ და მერიას დაევალა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება. სატენდერო კომისიამ არ გაითვალისწინა დავების განმხილველი საბჭოს გადაწყვეტილება და ტენდერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი შეწყვეტილია“¹⁵. გადაწყვეტილების მიღების მიზეზებში აღნიშნულია რომ „კომისიის წევრების მოსაზრებით, პრიორიტეტის ფარგლებში გარდა ახალი ავტობუსების შეძენისა, უნდა დაფინანსდეს გზების აღდგენა-რეკონსტრუქცია, საგზაო ნიშნების განახლება და სხვადასხვა პროექტები, რის გამოც ავტობუსების შესაძენად რჩება 38,982,211 ლარი, რაც საერთოდ არ არის საკმარისი ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტის წინადადების დასაკმაოფილებლად“. უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას 100 ერთეული ავტობუსის მიწოდება შემოთავაზებული ჰქონდა 31,660,601 ლარად, ანუ თანხა ავტობუსების შესაძენად სავსებით საკმარისი იყო და ტენდერის შეწყვეტა აღნიშნული მოტივით არამართებული იყო.

5.3.3. შპს „თბილისის პორტალი“:

შემსყიდველმა შეზღუდა კონკურენცია და შეუქმნა უპირატესი მდგომარეობა შპს „თბილისის პორტალს“, რითიც დაარღვია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ბ) და გ) პუნქტები.

მერიის ადმინისტრაციის მიერ 2012 წლის 5 დეკემბერს გამოცხადებულია თბილისის მერიისათვის პროგრამული, საინფორმაციო და ვიზუალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულია, რომ პრეტენდენტს 2009 წლის იანვრიდან უნდა ჰქონოდა მინიმუმ 1,000,000 ლარის ანალოგიური მომსახურების გაწევს გამოცდილება, ასევე პროგრამული, საინფორმაციო და ვიზუალური მომსახურების (გასაწევი მომსახურების

¹³ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის 06.12.2013წ. სხდომის#3 ოქმი

¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 24.12.2013წ. გადაწყვეტილება

¹⁵ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N4

ჩამონათვალი დეტალურად მოცემულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ დავალებაში. იხ.¹⁶⁾ გასაწევად საჭირო მატერიალურ - ტექნიკური ბაზა.

როგორც შპს „თბილისის პორტალის“ მიერ წამოდგენილი ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით ირკვევა, კომპანია მერიას ანალოგიურ მომსახურებას უწევდა წინა წლებშიც. შპს „თბილისის პორტალი“ გამარჯვებულია წინა პერიოდებშიც (2009, 2010, 2011 და 2012 წლებში) თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის Tbilisi.gov.ge ტექნიკურ, ვიზუალურ და საინფორმაციო მომსახურების შესყიდვისათვის გამოცხადებულ ტენდერში. აღსანიშნავია, რომ 2009 და 2010 წლებში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არ იყო სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი „მინიმუმ 1,000,000 ლარის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება და თბილისის მერიისათვის პროგრამული, საინფორმაციო და ვიზუალური მომსახურების გასაწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“. რაც გულისხმობს იმას, რომ სავარაუდოდ, აუდიტის ობიექტისათვის არ წარმოადგენდა აუცილებელ და მნიშვნელოვან გარემოებას პრეტენდენტისათვის ანალოგიური მომსახურების გამოცდილების არსებობა, ხოლო 2013 წელს სატენდერო მოთხოვნებში მსგავსი პუნქტების შეტანით შემსყიდველმა შეზღუდა კონკურენცია და შეუქმნა უპირატესი მდგომარეობა შპს „თბილისის პორტალს“, რითაც დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 პუნქტის ბ)¹⁷ და გ)¹⁸ ქვეპუნქტები.

მთლიანი ხელშეკრულების თანხამ შეადგინა 999,600 ლარი. 12 თვის განმავლობაში საკასო ხარჯმა შეადგინა 968,792 ლარი. ხელშეკრულების მიხედვით ანაზღაურება განხორციელდებოდა ხელშეკრულებასთან დართული (რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების შესრულების შესაბამისად.

მომსახურების შესრულების დამადასტურებელ მიღება-ჩაბარების აქტებში, ცალკეული მომსახურების მითითების გარეშე, „სტანდარტულად“ მითითებულია ერთი და იგივე ჩანაწერი, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა მომსახურება ყოველთვიურად იდენტური თანხებით მათ შორის ყოველი თვის 20 რიცხვში 55,530 ლარის, ხოლო ყოველი თვის ბოლო კალენდარულ დღეს 27,700 ლარის ოდენობით. ასევე, აღსანიშნავია, რომ შპს „თბილისის პორტალის“ მიერ ქ. თბილისის მერიისათვის მომსახურების გაწევა საანგარიშო პერიოდში არცერთ შემთხვევაში არ დაუდასტურებიათ ხელის მოწერით იმ პირებს, როლებიც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად¹⁹ განსაზღვრული იყვნენ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად.

¹⁶ [SPA120027290_xelshekruleba - Tbilisis portali.pdf](#)

¹⁷ სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;

¹⁹ 7.2.3/30/13 ხელშეკრულების 6.1 პუნქტი

5.3.4. შპს „სან XXII“

კონკურენციის შეზღუდვის შედეგად, შპს „სან XXII“ შეექმნა უპირატესი მდგომარეობა, რითაც დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ბ) და გ) პუნქტები. აგრეთვე, შპს „სან XXII“-ს აუნაზღაურდა ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მეტი გაუთვალისწინებელ ხარჯებად დაფიქსირებული ხარჯები. ასევე, გამოვლენილია სატენდერო დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაციის შეტანის ფაქტი.

კერძოდ, 2012 წლის 6 დეკემბერს მერიის ადმინისტრაციის მიერ გამოაცხადებულია მერიის საკუთრებაში არსებული შენობების ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერი. სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრულია 1,230,000 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა არანაკლებ 1,000,000 ლარის მოცულობის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება 2010 წლის 1 იანვრის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას არ იქნა გათვალისწინებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით“, რაც პრეტენდენტებისათვის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების მოთხოვნის შემთხვევაში ერთის მხრივ გულისხმობს, რომ უმჯობესია მოთხოვნილ იქნას „მომწოდებლის მიერ საწარმოო პროცესების თანამედროვე მეთოდების ფლობის ინფორმაცია, ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის დაცვისათვის საჭიროა პოტენციურ მომწოდებლებს მოეთხოვოს ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების არსებობის დასაბუთება არა კომპანიის, არამედ საწარმოში დასაქმებული ტექნიკური გამოცდილების/კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დონეზე.“

მეორე მხრივ, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში თანხობრივ გამოსახულებაში ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების მოთხოვნისას, ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის დაცვის, სახელმწიფო შესყიდვისას მონაწილეთა თანაბარზომიერ პირობებში ჩაყენების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციებით²⁰, (რაც თავის მხრივ შემუშავებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე²¹) სასურველია, რომ განხორციელებულ იქნას ახლად დაფუძნებული კომპანიების ტენდერში მონაწილეობის მიღების წახალისების გათვალისწინება, რომლის მიხედვით შედარებით ახლად დაფუძნებულ მიმწოდებელს მიეცემა ტენდერში მონაწილეობის საშუალება, თუ მისი საშუალო თვიური ბრუნვის 12-ზე ნამრავლი აღემატება მოთხოვნილი წლიური გამოცდილების მოცულობას.

შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შედეგად მნიშვნელოვნად შეიზღუდა კონკურენცია, არ იქნა დაცული სამართლიანობისა და ყველა შესაძლო პრეტენდენტის მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის

²⁰ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „რეკომენდაცია კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით“ ჩამოტვირთულია საიტიდან-<http://www.procurement.gov.ge/>.

²¹ აღნიშნული რეკომენდაციები მოყვანილია, როგორც სხვადასხვა ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ რეკომენდაციებში. იხ. მაგალითად, SIGMA-სატრენინგო მასალა; Public Procurement Training for IPA Beneficiaries, გვ. E-152; შოტლანდიელების მიერ გაწეული რეკომენდაცია: იხ. Scottish Procurement Note SPPN 2/2012, გვ. 3.

მეთოდი, შედეგად, ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ერთადერთმა პრეტენდენტმა შპს „სან XXII“-მ, რომელთანაც 2012 წლის 31 დეკემბერს გაფორმებულია N10.02/30/08 ხელშეკრულება მერიის შენობების ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურებაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 1,225,074 ლარზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია 3 წელი, 2013 წლის 1 იანვრიდან - 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, რომელიც მოიცავდა მერიის საკუთრებაში არსებული 11 ერთეული შენობის (მთლიანი ფართობით 68,292 მ²) ყოველთვიურ ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურებას, შენობებში განთავსებული ლიფტების, სანტექნიკური კვანძების, ამწე მექანიზმების, საქვაბე გათბობის სისტემის ტექნიკურ მომსახურებას, აგრეთვე მეყვავილის, დურგლის, ელექტრიკოსის და გათბობა-კონდიციონირება ვენტილაციის მომსახურებებს.

აგრეთვე, გამოვლენილია სატენდერო დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაციის შეტანის ფაქტი. კერძოდ, მერიის ადმინისტრაციის მიერ 2013 წლის 29 მარტს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი თბილისის მერიის ადმინისტრაციის შენობაში სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 50,500 ლარზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო, ორმა კომპანიამ შპს „თბილისმა“ და შპს „სან XXII“-მა. ელექტრონული ვაჭრობისას შპს „თბილისის“ მიერ დაფიქსირებულია - 35,000 ლარი, ხოლო შპს „სან XXII“-ის მიერ - 49,618 ლარი.

თბილისის მერიის 2013 წლის 25 აპრილის N2 სატენდერო კომისიის სხდომის ოქმით შპს „თბილისი“ გამოცხადებულია გამარჯვებულად და დაევალა ხარჯთაღრიცხვაში არსებული უზუსტობის აღმოფხვრა. შპს „თბილისმა“ იმავე წლის 29 აპრილს წერილით მიმართა მერიის ადმინისტრაციას, სადაც აცხადებდა უარს ხელშეკრულების გაფორმებაზე, მიზეზად კი მითითებულია ის გარემოება, რომ ტენდერის პირობების თანახმად სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 14 დღის ვადაში. ხარჯთაღრიცხვის თანახმად პრეტენდენტს ევალებოდა შენობის მე-19 სართულზე ISO 9001:2008 სტანდარტის მქონე ჟალუზების მონტაჟი, ხოლო როგორც პრეტენდენტი წერილში განმარტავს მერიაში მიიღო ინფორმაცია, რომ ასევე ევალებოდა ბრონირებული კარების დამონტაჟება მერიის ცენტრალურ შესასვლელში და იმ მიზეზით, რომ 14 დღეში იგი მხოლოდ ჟალუზების დამონტაჟებას მოახერხებდა (როგორც ეს იყო ჩადებული ტენდერის პირობებში). შესაბამისად უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტმა უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე.

2013 წლის 5 მაისს შედგა სატენდერო კომისიის N3 სხდომის ოქმი, საიდანაც დგინდება, რომ სატენდერო კომისიამ ისე, რომ არც განუხილავთ (N3 ოქმში არ არის ჩანაწერი სადაც ასახული იქნებოდა მსჯელობა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის წერილობით უარზე) უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის მიზეზი, მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია და 2013 წლის 16 მაისს რიგით მეორე უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან შპს „სან XXII“-თან გაფორმდა ხელშეკრულება N10.2/30/176 ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის შენობაში სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით 49,607.89 ლარი. ამავე წლის 29 მაისს შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი სამუშაოების სრული მოცულობით დასრულებაზე, რომელთა ღირებულებამ 47,025.09 ლარი შეადგინა.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ როგორც შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტთან თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესწავლით დგინდება შპს „სან XXII“-ს შესრულებული აქვს მხოლოდ შენობის მე-19 სართულზე ISO 9001:2008 სტანდარტის მქონე ჟალუზების მონტაჟი, ხოლო რაც შეეხება მერიის ცენტრალურ შესასვლელში ISO 9001:2008 სტანდარტის მქონე ბრონირებული კარების სამონტაჟო სამუშაოებს მსგავსი ჩანაწერი არც მიღება-ჩაბარების აქტში და არც თანდართულ შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში არ იკითხება. შესაბამისად, მით უფრო ბუნდოვანია უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „თბილისის“ დისკვალიფიკაციის საკითხი, ვინაიდან როგორც უკვე აღვნიშნეთ შპს „თბილისის“ უარის საფუძველს სწორედ ბრონირებული შესასვლელი კარების შეზღუდულ დროში მონტაჟის შეუძლებლობა წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მერიის ადმინისტრაციის განმარტებით - ხარჯთაღრიცხვაში დაშვებულია „ტექნიკური შეცდომა“ და მე-19 სართულის ნაცვლად უნდა იყოს პირველი სართული. აქვე შევნიშნავთ, რომ შეცდომა დაშვებულია არა მარტო ხარჯთაღრიცხვაში არამედ, სატენდერო დოკუმენტაციაშიც, სადაც ასევე მე-19 სართულია დაფიქსირებული. რაც არ იქნა დროულად გამოვლენილი და სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე არ მოხდა შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის უფლებამოსილების გამოყენება²².

5.3.5. შპს „მეგკო“

2013 – 2014 წლებში შემსყიდველმა შეზღუდა კონკურენცია და შეუქმნა უპირატესი მდგომარეობა შპს „მეგკოს“, რითიც დაარღვია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ბ) და გ) პუნქტები. კერძოდ, 2013 - 2014 წლებში თბილისის მერიის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების: 1.რკინის დამცავი (შემზღუდავი) ჯგუხების გაწყობა-ალაგების მომსახურების; 2.ტვირთის გადაზიდვის და სასაწყობო ბაზების (5 საწყობი) მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში შემსყიდველი აწესებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს იმგვარად, რომ იზღუდებოდა ტენდერში მონაწილე პოტენციურ პრეტენდენტთა წრე და ის ერგებოდა მხოლოდ ერთ პრეტენდენტს შპს „მეგკო“-ს, რომელიც ყოველგვარი კონკურენციისა და ფასის კლების გარეშე იგებდა ტენდერებს, რაც იწვევდა მომსახურების საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასში შესყიდვას.

აგრეთვე, შპს „მეგკო“-სთან ტვირთების გადაზიდვის მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულებების საფუძველზე (2012 წლის 27 დეკემბრის N2.9.8/30/2 და 2013 წლის 27 დეკემბრის N2.9.8/30/501 ხელშეკრულებები), შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პირველი ხელშეკრულების შემთხვევაში გადაზიდვის სამუშაოები სამ ეპიზოდში დუბლირებულია, რის შედეგადაც ზედმეტად

²² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 7. შემსყიდველი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობები, 1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია: გ1) გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვეტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გადახდილმა თანხამ 5,153 ლარი შეადგინა, ხოლო მეორე ხელშეკრულების პირობებში სამუშაოს დუბლირება განხორციელდა ერთხელ ღირებულებით 8,280 ლარი, ანუ არაჯეროვნად შესრულებული ინსპექტირების შედეგად მომწოდებლისთვის ორივე შემთხვევაში ზედმეტად იქნა ანაზღაურებული 13,433 ლარი.

უნდა აღინიშნოს რომ, თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ შესწავლილია თბილისის მერიის მიერ 2011-2014 წლებში სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველსაყოფად: 1.სასაწყობე ბაზების (5 საწყობი) მოვლა-პატრონობის მომსახურების; 2.ტვირთების გადაზიდვის მომსახურების და 3.რკინის დამცავი (შემზღუდავი) ჯებირების გაწყობა-ალაგების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამართული ტენდერები, რაზედაც 2015 წლის 5 აგვისტოს შედგენილია დასკვნა²³, რომელშიც აღნიშნულია არა მარტო ზემოთ აღნიშნული კონკურენციის შეზღუდვის ფაქტები - არამედ შესწავლილია მერიის თანამშრომლებისა და შპს „მეგკოს“ დამფუძნებლების ურთიერთკავშირი. აღნიშნული დასკვნა, შემდგომი რეაგირებისათვის, მერიის მიერ გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში²⁴.

5.3.6. შპს „მედია პორტი“

2013 წლის პირველი მარტის N7.2.3/40/93 ხელშეკრულებით შპს „მედია პორტისგან“ უნდა გაწეულიყო 480,000 ლარის სარეკლამო მომსახურება, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობამ შეადგინა 468,427 ლარი. აქედან, 136,924 ლარზე არაა წარმოდგენილი მომსახურების გაწევის დეტალური ინფორმაცია. კერძოდ, წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში არაა მითითებული რეკლამის შინაარსი (თემა), კლიპების ტელეარხებზე გაშვების პერიოდულობა და ღირებულება.

2013 წელს, დაირღვა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები და შემსყიდველმა მიიღო 47,324 ლარის არაშესაბამისი მომსახურება. კერძოდ, შპს „მედია პორტთან“ 2013 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული N7.2.4/20/482 ხელშეკრულების²⁵ მიხედვით, მიმწოდებელს 2 სატელევიზიო არხზე უნდა განეთავსებინა სარეკლამო რგოლები 27 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე. სატენდერო დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სატენდერო წინადადებითა და ხელშეკრულების დანართის მიხედვით სარეკლამო რგოლის მოცულობა განსაზღვრული იყო 60±5 წამის ოდენობით, ხოლო კლიპის ეთერში გაშვების შეთანხმებული რაოდენობა შეადგენდა 8 ერთეულს. ამის მიუხედავად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „მედია პორტს“, ტელეკომპანიების „რუსთავი2-სა და „იმედის“ ეთერში ნაცვლად 60±5 წამისა განთავსებული აქვს 15 წამიანი კლიპი, ხოლო ადმინისტრაციასთან შეთანხმების გაფორმების გარეშე გაზრდილი აქვს კლიპის სატელევიზიო ეთერში გაშვებების ოდენობა - 5 დღის განმავლობაში დღეში 40 ერთეულამდე, ნაცვლად 8 ერთეულისა. შესაბამისად, დაირღვა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები და

²³ მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 5 აგვისტოს დასკვნა.

²⁴ 2015 წლის 8 აგვისტოს N06-38/152202 წერილი

²⁵ SPA130026495

შემსყიდველმა ვერ მიიღო 47,324 ლარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურება.

5.3.7. შპს „ვი ქომი“ და შპს „ნიში“

2013 და 2014 წლებში შემსყიდველმა შეზღუდა კონკურენცია და შეუქმნა უპირატესი მდგომარეობა შპს „ვი ქომს“ და შპს „ნიშს“, რითაც დაარღვია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ბ) და გ) პუნქტები.

შპს „ვი ქომი“

2013 წლის 11 იანვარს, გამოცხადებულია ტრანსპორტით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერი (SPA130000715). შესყიდვა გულისხმობდა მომწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის, არანაკლებ 15 ერთეული 40 ადგილიანი და არანაკლებ 15 ერთეული 15 ადგილიანი ავტობუსით მომსახურებას²⁶. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შემდგომ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მომსახურების გაწევის ამსახველი მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, იმ სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, რომლითაც ხდებოდა მომწოდებლის მიერ სატრანსპორტო მომსახურების გაწევა იცვლებოდა 5-დან 8 ერთეულამდე, მხოლოდ ერთხელ 2013 წლის 2 ივლისს²⁷, განხორციელდა მომსახურების გაწევა 15 ერთეული სატრანსპორტო საშუალებით. ამდენად, აუცილებელი პირობა - სატენდერო დოკუმენტაციაში 30 ერთეული სატრანსპორტო საშუალების ფლობის მოთხოვნა წარმოდგენდა კონკურენციის შეზღუდვას. სატენდერო დოკუმენტაციის²⁸ მიხედვით ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა ყოფილიყო კონდიციონერით აღჭურვილი. შპს „ვი ქომის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას დადგინდეს, იყო თუ არა ყველა სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი კონდიციონერით.

სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 117,340 ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ერთმა პრეტენდენტმა შპს „ვი ქომმა“. (კონკურენციის არარსებობის შედეგად ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა სავარაუდო ღირებულების იდენტური თანხა). მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმებულია 2013 წლის 12 თებერვალს²⁹, ხოლო 3 კალენდარული დღის შემდეგ - 2013 წლის 15 თებერვლის შეთანხმების მიხედვით შესულია ცვლილება ხელშეკრულების პირობებში და შესაძლებელი გახდა მომწოდებელზე საავანსო ანგარიშსწორება, ხელშეკრულების თანხის 45%-ის ოდენობით, რითაც უგულებელყოფილი იქნა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნა³⁰.

შპს „ნიში“

2014 წლისთვის, სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისას (ტენდერი გამოცხადებულია 2013 წლის 3 დეკემბერს³¹) მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ასევე ერთმა პრეტენდენტმა

²⁷ თანახმად 06.07.2013წ. N293 მ.ჩ აქტისა

²⁸ SPA130000715 სატენდერო დოკუმენტაცია 3.3.3 პუნქტი

²⁹ 12.02.2013წ. ხელშეკრულება N10.2/30/70

³⁰ სატენდერო დოკუმენტაციის 3.3.3 პუნქტი : „წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება“.

³¹ SPA130026491

შპს „ნიშმა“³². სატენდერო დოკუმენტაციაში (ისევე, როგორც წინა საანგარიშო პერიოდში) მოთხოვნილია, რომ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება ყოფილიყო კონდიცირებით აღჭურვილი, ხოლო შპს „ნიშის“ მიერ ტექნიკურ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია იგივე სატრანსპორტო საშუალებების შესახებ, რომლებითაც ადმინისტრაციას მომსახურებას უწევდა შპს „ვი ქომი“ წინა საანგარიშო პერიოდში (70-80 იანვარში წლებში გამოშვებული ავტობუსები და მიკროავტობუსები). სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებები კონკურენციის არარსებობის პირობებში ამ შემთხვევაშიც შეადგენდა იდენტურ თანხებს - 114,340 ლარი. აღსანიშნავია, რომ შპს „ვი ქომი“ და შპს „ნიში“ მომსახურებას ახორციელებდნენ იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებებით. ანუ იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციის მიერ არ იქნებოდა ზემოთაღნიშნული ბარიერები ხელოვნურად შექმნილი, შემსყიდველი ორგანიზაცია თავიდან აირიდებდა შესყიდვის არაკონკურენტულ გარემოში განხორციელებას.

ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში უნდა ითქვას, რომ ადგილი აქვს სატენდერო პირობების კონკრეტულ მიმწოდებლებზე მორგებას და მათთვის უპირატესი მდგომარეობის შექმნას

5.3.8. შპს „თიბისი თვ სტუდო“

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2014 წლის 10 იანვრის N7.2.4/30/5 ხელშეკრულებით შპს „თიბისი თვ სტუდო“ - სგან შესასყიდი სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურების ღირებულება შეადგენდა 564,999 ლარს, რომელიც გაწერილი იყო 12 თვეზე. ფაქტიურად, კი მიღება-ჩაბარების აქტებით მომსახურების ღირებულებამ და გადახდილმა თანხამ შეადგინა 564,904 ლარი, რომელიც მთლიანად მიეკუთვნება 2014 წლის 3 თვეს - იანვარს, ოქტომბერს და დეკემბერს. აღნიშნულ 3 თვეში გადახდილია სრული წლის მომსახურების თანხა, რაც ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ მოცემულ პერიოდში ასანაზღაურებელ თანხასთან შედარებით 430,599 ლარით მეტია. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის³³, ასევე მომსახურების თანხების გაზრდილი ტარიფებით³⁴ გაანგარიშების სათანადო დოკუმენტაცია წარმოდგენილი ვერ იქნა.

კერძოდ, 2013 წლის 3 დეკემბერს ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულია სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერი³⁵. ტენდერში გამარჯვებულია შპს „თიბისი თვ სტუდო“. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 564,999 ლარი. ხელშეკრულებით³⁶ განსაზღვრული პირობების შესასრულებლად, მომწოდებელს 3 სატელევიზიო არხზე („რუსთავი 2“, „იმედი“ და „მაესტრო“) უნდა განეთავსებინა სარეკლამო რგოლები ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის

³² აღსანიშნავია, რომ შპს „ვი ქომის“ და შპს „ნიშის“ დამფუძნებელი წარმოადგენს ერთი და იგივე პიროვნებას.

³³ დარღვეულია N7.2.4/30/5 ხელშეკრულების 12.2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც: ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას.

³⁴ ასევე არაა დაცული ხელშეკრულების 14.3 პუნქტი: ხელშეკრულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

³⁵ SPA130026494

³⁶ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N7.2.4/30/5

მოთხოვნებიდან. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გასაწევი მომსახურების მიწოდების ყოველთვიური გრაფიკი მოცულობისა და თანხობრივი კალკულაციის მიხედვით მოცემულია ცხრილში:

N	თვე	სატელევიზიო არხი			სულ (ლარი)
		რუსთავი 2	იმედი	მაესტრო	
1	2	3	4	5	
1	იანვარი	24,735.84	21,969.36	6,213.96	52,919.16
2	თებერვალი	19,358.40	17,193.36	4,862.76	41,414.52
3	მარტი	21,509.40	19,103.76	5,403.12	46,016.28
4	აპრილი	21,509.40	19,103.76	5,403.12	46,016.28
5	მაისი	21,509.40	19,103.76	5,403.12	46,016.28
6	ივნისი	21,509.40	20,058.96	5,403.12	46,971.48
7	ივლისი	21,509.40	18,148.56	4,862.76	44,520.72
8	აგვისტო	18,282.96	16,236.16	4,592.64	39,111.76
9	სექტემბერი	21,509.40	19,103.76	5,403.12	46,016.28
10	ოქტომბერი	23,660.40	21,396.24	5,943.36	51,000.00
11	ნოემბერი	24,735.84	21,969.36	5,943.36	52,648.56
12	დეკემბერი	24,735.84	21,396.24	6,213.60	52,345.68
	ჯამი	264,565.68	234,783.28	65,648.04	564,996.98

შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ერთ ტელეარხზე ერთი თვის მომსახურების თანხა შეიცავდა 2 კლიპის 6 დღიანი განთავსების ღირებულებას. როგორც ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებითა და მათი თანმდევნი დანართებით ირკვევა, მომსახურების გაწევა განხორციელებულია მხოლოდ 3 თვის (იანვარი, ოქტომბერი, დეკემბერი) განმავლობაში ნაცვლად 12 თვისა, მაგრამ ამის მიუხედავად მომწოდებელზე ანაზღაურებულია მთლიანი ხელშეკრულების 99.99%.

2014 წლის იანვრის თვეში, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შპს „თიბისი თვ სტუდიოს“ „რუსთავი 2“-სა და „მაესტროზე“ განთავსებული ჰქონდა თითო კლიპი 5-5 დღის განმავლობაში. ამის მიუხედავად დაანგარიშებული და ანაზღაურებულია მთლიანი თვის მომსახურების თანხები შესაბამისად 24,736 ლარი და 6,214 ლარი, რაც გათვალისწინებული იყო 2 კლიპის 6 დღით განთავსების შემთხვევაში.

ოქტომბრის თვეში, ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით სამივე სატელევიზიო არხზე განთავსების ღირებულება შეადგენდა 51,000 ლარს. ხოლო მიღება-ჩაბარების აქტით - ოქტომბრის თვის მომსახურების ღირებულებამ შეადგინა ჯამში 210,075 ლარი, ანუ 2 კლიპის სატელევიზიო არხებზე განთავსებისათვის ფაქტობრივ ხარჯად აღიარებული და ანაზღაურებულია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე **159,075 ლარით** მეტი.

N	თვე	სატელევიზიო არხი	მომსახურების ღირებულება		სხვაობა (ზედმეტად გადახდილი) (ლარი)
			ხელშეკრულებით გათვალისწინებული	წარმოდგენილი მ/ჩ აქტებით	
1	2	3	4	5	

1	იანვარი	რუსთავი 2	24,735.84	24,735.85	-
		იმედი	21,969.36	არ განთავსებულია	-
		მაესტრო	6,213.96	6,213.55	-
2	ოქტომბერი	რუსთავი 2	23,660.40	89,395.40	65,735
		იმედი	21,396.24	79,521.49	58,125
		მაესტრო	5,943.36	41,158.55	35,215
3	დეკემბერი	რუსთავი 2	24,735.84	150,269.00	125,533
		იმედი	21,396.24	155,303.40	133,907
		მაესტრო	6,213.60	18,296.94	12,083

ასევე, 2014 წლის დეკემბრის თვეში, შპს „თიბისი თვ სტუდიოს“ მიერ მომსახურების თანხა წარმოდგენილია და ანაზღაურებულია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე 2 კლიპის 6 დღიანი განთავსებისათვის - 150,269 ლარი - ნაცვლად 24,736 ლარისა, „ტელეიმედზე“ განთავსებისათვის - 155,303 ლარი, ნაცვლად 21,396 ლარისა, ხოლო ტელეკომპანია „მაესტროზე“ - 18,297 ლარი, ნაცვლად 6,214 ლარისა. სულ დეკემბრის თვეში შპს „თიბისი თვ სტუდიო“-სთვის ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ანაზღაურებულია **271,524 ლარით მეტი**.

ზემოთაღნიშნული შეუსაბამოები, ადმინისტრაციის განმარტებითა და შემდგომში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოწვეულია ოქტომბრისა და დეკემბრის თვეებში შპს „თიბისი თვ სტუდიოს“ მიერ ადმინისტრაციისათვის შესაბამის პერიოდში ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი მომსახურების გაწევით, თუმცა მხარეებს შორის შეთანხმების დოკუმენტი ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ წარმოდგენილი ვერ იქნა³⁷. ასევე ობიექტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული ოქტომბრისა და დეკემბრის თვეებში შემსრულებლის მიერ სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსებისათვის დამატებითი მომსახურების მიზანშეწონილობა. ობიექტის განმარტებით, ხშირ შემთხვევაში კლიპების დღიური გაშვებების ჯამური ოდენობა ნაცვლად ხელშეკრულებით განსაზღვრული 7 ერთეულისა, შეადგენდა 25-30 ერთეულს. ხოლო, ტელეეთერში გაშვებული კლიპების ქრონომეტრაჟი ნაცვლად ხელშეკრულებით განსაზღვრული 30±5 წამისა, ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტი იყო (უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების მიხედვით არ იყო გათვალისწინებული კლიპის ქრონომეტრაჟის ცვლილების შემთხვევაში დამატებითი ანაზღაურება). ამ შემთხვევაში უცნობია, თუ როგორ იქნა გაანგარიშებული ხელშეკრულებით გათვალისწინებელი დამატებითი მომსახურების³⁸ გაწევისას ასანაზღაურებელი თანხების ოდენობა. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დამატებით მომსახურებებზე ანაზღაურებულია მაღალი ოდენობის თანხები, დროის იმ მონაკვეთებში განთავსებულ სარეკლამო რგოლების ღირებულებებთან

37 ხელშეკრულების 15.1 პუნქტის თანახმად: ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

38 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დამატებით მომსახურებაში იგულისხმება სარეკლამო რგოლების განთავსება სატელევიზიო ეთერში დროის ისეთ მონაკვეთებში, როდესაც არ იყო რეკლამის განთავსება განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების მიხედვით და შესაბამისად მისი ტარიფებიც არ იყო გაანგარიშებული და შეთანხმებული მხარეთა მიერ.

შედარებით, რომლებიც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით და შესაბამისად ტარიფებიც დადგენილი იყო. მაგალითად: სამაუწყებლო ტელეკომპანია „რუსთავი 2-ზე“ 21:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვება „კურიერის“ მიმდინარეობისას ხელშეკრულების მიხედვით სარეკლამო რგოლის განთავსებისათვის გათვალისწინებული და გადახდილი იყო 1,237 ლარი, ხოლო 20:40 სთ-ზე, 22:00 სთ-ზე, 22:30 სთ-ზე და 22:35 სთ-ზე განთავსებულ სარეკლამო რგოლებისათვის გადახდილია 3-4 ჯერ და ზოგიერთ შემთხვევაში 7-8 ჯერ მეტი თანხები 21:00 სთ საინფორმაციო კურიერთან შედარებით, შესაბამისად: 3,827, 3,390, 5,686 და 8,813 ლარის ოდენობით. მნიშვნელოვანი სხვაობები ხელშეკრულებით დადგენილ ტარიფებსა და დამატებითი მომსახურების გაწევისას ანაზღაურებულ ტარიფებს შორის მოყვანილია ცხრილის სახით:

ტელეკომპანია „რუსთავი 2“

დასახელება	განთავსებულია დაუდგენელი და შეუთანხმებელი ტარიფით	განთავსებულია ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით	განთავსებულია დაუდგენელი და შეუთანხმებელი ტარიფით			განთავსებულია ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით	განთავსებულია დაუდგენელი და შეუთანხმებელი ტარიფით		განთავსებულია დაუდგენელი და შეუთანხმებელი ტარიფით	განთავსებულია დაუდგენელი და შეუთანხმებელი ტარიფით		
სარეკლამო რგოლის განთავსების დრო	9:15	12:00	13:05	13:45	17:10	18:00	19:15	20:40	21:20	22:00	22:30	22:35
რგოლის განთავსების ღირებულება	1210	337	1382	1382	1093	487	3827	3827	1237	3390	5686	8813

„ტელემედი“

დასახელება	განთავსებულია ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით	განთავსებულია დაუდგენელი და შეუთანხმებელი ტარიფით						განთავსებულია ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით
სარეკლამო რგოლის განთავსების დრო	11:55	14:00	14:15	14:15	14:30	14:30	15:30	18:25
რგოლის განთავსების ღირებულება	337	1502	1626	1709	1554	2331	2331	360

ადმინისტრაციის განმარტებით:

- „ნოემბერში და დეკემბერში ტელევიზიები ფასს ზრდიან დაახლოებით 10-20%-ის ფარგლებში. გაშიფრულ მედია გეგმაში სარეკლამო მასალის განთავსების დროის მიხედვით ფასების ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული არხის მიერ აღნიშნულ დროს სარეკლამო მასალის განთავსებაზე დადგენილი ფასის ცვალებადობით.
- სარეკლამო მასალის განთავსების ფასის სიდიდე დამოკიდებულია სხვადასხვა მაჩვენებლებზე როგორცაა: მასალის განთავსების დრო, გადაცემის რეიტინგი,

სარეკლამო ჭრაში რგოლის განთავსების რიგითობა, განთავსების სეზონი (როგორც წესი არხებზე განთავსების ფასი მცირდება ივლისი - აგვისტოში და იზრდება ნოემბერში და დეკემბერში).

- ტელევიზიები მასალის განთავსების ფასებს ადგენენ აშშ დოლარში და შესაბამისად თვიდან თვემდე აღნიშნული მაჩვენებელი ლარში ერთმანეთს არ ემთხვევა.“

აღნიშნული განმარტებები ვერ ჩაითვლება შესაფერის არგუმენტად, რადგან ადმინისტრაციას სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურებაზე ხელშეკრულება დადებული ჰქონდა არა სატელევიზიო არხებთან, არამედ შპს „თბს ტვ სტუდიოსთან“, სადაც დეტალურად იყო გაწერილი გასაწევი მომსახურების პერიოდულობა, მოცულობა და ტარიფები. შესაბამისად, მხარეები ვალდებულნი იყვნენ მომსახურება განეხორციელებინათ „დამკვეთს“ (ადმინისტრაცია) და „შემსრულებელს“ (შპს „თბს ტვ სტუდია“) შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით და არა სხვადასხვა სატელევიზიო არხების მიერ დადგენილი პირობების მიხედვით.

5.4. კაპიტალის გაზრდა, აქციების შეძენა და დამფუძნებელთა შენატანები

5.4.1. შპს „თბილისის პორტალი“ და ა(ა)იპ „თბილისის პორტალი“

2013 წელს მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან - კაპიტალური ხარჯების მუხლიდან ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებების (12.03.13 წლის N09.09.262 -30,000 ლარი, 17.05.13 წლის N16.08.542 - 75,000 ლარი, 14.06.13 წლის N18.30.717 - 48,000 ლარი, 02.09.13 წლის N23.71.1068 - 19,000 ლარი, 14.11.13 წლის N 28.04.1361 - 10,000 ლარი და 30.12.13 წლის N32.05.1680 - 30,000 ლარი) საფუძველზე სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების და ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით შპს „თბილისის პორტალის“ კაპიტალის გაზრდის მიზნით სულ გადარიცხულია 212,000 ლარი.

აღსანიშნავია, დაფინანსების გამოყოფაზე შპს „თბილისის პორტალის“ წერილები, სადაც ხაზია გასმული იმ გარემოებებზე, რომ საწარმოს მიზნებისა და ამოცანების სრულფასოვნად განხორციელებისთვის და საწარმოს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საჭირო იყო სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, რასაც „თბილისის პორტალი“ ვერ უზრუნველყოფდა იმ პერიოდისთვის მიმდინარე შემოსავლების გათვალისწინებით. სწორედ ხსენებული მიზეზით, გამართული ფუნქციონირებისთვის ითხოვდა დამფუძნებლის მხიდან კაპიტალის გაზრდისთვის თანხების გამოყოფას.

გარდა იმისა, რომ შპს „თბილისის პორტალის“ წერილებში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა ღონისძიებების განხორციელებაზეა საუბარი, ასევე ბუნდოვანია ის გარემოება, სადაც საუბარია შემოსავლების ნაკლებობაზე, ვინაიდან, შპს „თბილისის პორტალს“ 2013 წელზე ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა თბილისის მერიასთან პროგრამულ, საინფორმაციო და ვიზუალური მომსახურების გაწევაზე, ღირებულებით 999,600 ლარი. ამდენად, შპს „თბილისის პორტალის“ ერთი და იგივე ღონისძიებები (მომსახურებები) ფინანსდებოდა ორი წყაროდან: კაპიტალის გაზრდით და ხელშეკრულების საფუძველზე.

ასევე, შპს „თბილისის პორტალს“ მერიის ადმინისტრაციის სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების მუხლიდან თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 იანვრის N02.26.46 დადგენილების საფუძველზე სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების მიზნით კაპიტალის გაზრდისთვის 2014 წელსაც აქვს გამოყოფილი 24,000 ლარი.

2014 წლის ქ. თბილისის მთავრობის (07.02.14წ. N04.08.144, 26.03.14წ. N09.22.391 და 14.04.14წ. N11.02.484) დადგენილებებით თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის მომსახურების ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების დაფინანსებისთვის ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის „საზოგადოების განვითარებისა და ხელშეწყობის“ პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან ა(ა)იპ „თბილისის პორტალს“ წლის განმავლობაში დამფუძნებლის მიერ შენატანის სახით გადაერიცხა 950,000 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ მერიის კონტროლს დაქვემდებარებული ა(ა)იპ „თბილისის პორტალი“ და შპს „თბილისის პორტალი“ ფაქტიურად მსგავსი საქმიანობით იყვნენ დაკავებული და იდენტურ მომსახურეობას ეწოდნენ. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან თანხები გადარიცხულია ორივე ორგანიზაციაზე. საკითხი საჭიროებს შესწავლას ერთდროულად ა(ა)იპ „თბილისის პორტალსა“ და შპს „თბილისის პორტალში“.

მერიის ადმინისტრაციის განმარტებით, შპს „თბილისის პორტალი“ 2014 წლის იანვრიდან იმყოფება ლიკვიდაციის რაჟიმში, 2014 წლის 1 თებერვლიდან ყველა თანამშრომელი, გარდა დირექტორისა და ბუღალტრისა, გადაყვანილია ა(ა)იპ „თბილისის პორტალში“.

5.4.2. შპს-ები „ჰერმესი“, „სინათლის ქალაქი“, „თბილსერვის ჯგუფი“ და „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

2013 - 2014 წლებში, სათანადო დასაბუთების გარეშე, მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ოთხ შპს - ში შექმნილია 11 წევრიანი სამეთვალყურეო საბჭოები, სულ 44 წევრი, თითოეულისთვის თვეში - 2500 ლარიანი ხელფასით, რისთვისაც მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან გადარიცხულია 1,272,750 ლარი.

თბილისის მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს - ეების „ჰერმესი“, „სინათლის ქალაქი“, „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და „თბილსერვის ჯგუფი“ წესდებებში ქ.თბილისის მთავრობის 2012 წლის 23 ოქტომბრის N28.30.1043 დადგენილებით, შეტანილია ცვლილება და დამატებულია მე-14 მუხლი „სამეთვალყურეო საბჭო“. თითოეულ საწარმოში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია 11 წევრით (სულ 44 წევრი).

2013 წლის იანვარში, ზემოხსენებული საწარმოების წერილობითი მიმართვების საფუძველზე, რითაც (ოთხივე შემთხვევაში) ითხოვდნენ დამატებითი თანხის გამოყოფას, რათა მომხდარიყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურებისთვის (თითოეული წევრის ხელფასი შეადგენდა 2,500 ლარს) საჭირო თანხების გამოყოფა. 2013 წლის 23 იანვრის N03.05.59 ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით, განხორციელდა „იაპონური არასაპროექტო გრანტის მომსახურების“ (კოდი 10.24)- ვალდებულების მუხლის შემცირება 1,282,500 ლარით და იგივე თანხით გაიზადა მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10.2)

სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების მუხლი. ამავე თარიღით გამოცემულია ქ. თბილისის მთავრობის ოთხი (N03.26.80, N03.27.81, N03.25.79 და N03.24.78) დადგენილება, რითაც მერიის ადმინისტრაციას დაევალა შპს - ების „ჰერმესი“, „სინათლის ქალაქი“, „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და „თბილსერვის ჯგუფი“-სთვის მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან კაპიტალში შენატანის გზით თანხების გადარიცხვა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასების დასაფინანსებლად. 2013 წლის განმავლობაში შპს „ჰერმესზე“ გადარიცხულია - 320,000 ლარი, შპს „სინათლის ქალაქზე“ - 322,500 ლარი, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე“ - 315,000 ლარი და „თბილსერვის ჯგუფზე“ - 315,250 ლარი. სულ გადაირიცხულია 1,272,750 ლარი.

5.4.3. აქციების შეძენა

2013 წლის 11 ოქტომბერს ფინანსური აქტივების მუხლიდან ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 1 ივლისის N19.03.765 დადგენილების საფუძველზე, 55,966 ლარი გადარიცხულია ავიაკომპანია „აირ ლიტუანიკა კლუბ“-ის ანგარიშზე 860 აქციის შესაძენად. ვერ იქნა წარმოდგენილი შემდგომ პერიოდში აქციების ფლობიდან მიღებული შედეგის ამსახველი დოკუმენტები.

5.5. შრომის ანაზღაურება

2013, 2014 და 2015 წლის 6 თვეში შრომის ანაზღაურების ხარჯების მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში:

ხარჯების დასახელება	2013 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)	2015 წლის 6 თვე, (ლარი)
შრომის ანაზღაურება	17,347,269	15,947,525	2,373,771
სარგო	3,376,906	3,522,844	1,599,672
პრემია	10,899,638	9,217,121	373,410
დანამატი	3,070,724	3,207,561	400,689

პრემიების გაცემისას 2013 და 2014 წელს არ არის დაცული თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის N05.11.128 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა პრემირების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი³⁹, რადგანაც, პრემიის გაცემაზე მერიის მოადგილეების და მერიის ადმინისტრაციის უფროსის განკარგულებებში⁴⁰ არ არის აღნიშნული „მუშაობის შედეგში

³⁹ ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 15 მარტის N05.11.128 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა პრემირების წესი“, მუხლი 2, პუნქტი 3. „მოსამსახურეზე პრემიის გაცემა შესაძლებელია განხორციელდეს ყოველთვიურად პრემიის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება მუშაობის შედეგში შეტანილი თითოეული მოსამსახურის პირადი წვლილის, ზეგანაკვეთური მუშაობის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე, პრემია შეიძლება გაიცეს დღესასწაულებთან დაკავშირებით. გასაცემი პრემიის ოდენობა მაქსიმალური სიდიდით არ იზღუდება.

⁴⁰ 2013 წლის 22 იანვრის N90 განკარგულება, 2013 წლის 20 თებერვლის N 195 განკარგულება, 2013 წლის 25 თებერვლის N 202 განკარგულება, 2013 წლის 11 მარტის N 247 განკარგულება, 2013 წლის 22 აპრილის N 518 განკარგულება, 2013 წლის 13 მაისის N 598 განკარგულება, 2013 წლის 15 მაისის N 619 განკარგულება, 2013 წლის 27 მაისის N 1005 განკარგულება, 2013 წლის 27 მაისის N 659 განკარგულება, 2013 წლის 25 ივნისის N 770 განკარგულება, 2013 წლის 23 ივლისის N 1055 განკარგულება, 2013 წლის 6 აგვისტოს N 1217 განკარგულება, 2013 წლის 7 აგვისტოს N 1248 განკარგულება, 2013 წლის 20 აგვისტოს N 1420 განკარგულება, 2013 წლის 20 აგვისტოს N 1421 განკარგულება, 2013 წლის 29 აგვისტოს N 1816 განკარგულება, 2013 წლის 25 სექტემბრის N 1662 განკარგულება, 2013 წლის 30 სექტემბრის N 1679 განკარგულება, 2013 წლის 21 ოქტომბრის N 2343 განკარგულება, 2013 წლის 22

შეტანილი თითოეული მოსამსახურის პირადი წვლილი, ზეგანაკვეთური მუშაობა ან განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა“. ასევე არ არის დაცული 2013 წელს სადღესასწაულო პრემიების გაცემისას, ხოლო 2014 წელს - როგორც სადღესასწაულო ისე არასადღესასწაულო პრემიების გაცემისას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების მე-4 დანართით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის, გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა უნდა წარმოებდეს შესაბამისი პროგრამული კოდიდან. 2013 წელს მერიის ადმინისტრაციის პროგრამული 10.2 -კოდიდან, ნაცვლად შესაბამისი პროგრამული კოდებისა, გაცემულია პრემიები თბილისის საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების საჯარო და შტატგარეშე მოსამსახურეებზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა - 2014 წელს ასევე, არ არის დაცული ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 15 მარტის N05.11.128 დადგენილებით დამტკიცებული “ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა პრემირების წესის” მე-3 მუხლის 1¹ პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქ თბილისის მერის მიერ სადღესასწაულო პრემიის გაცემას საქალაქო სამსახურებისა და რაიონული გამგეობების საჯარო მოსამსახურეებზე. აღნიშნულის გაუთვალისწინებლად - თბილისის მერიის მიერ 2014 წლის 26 ივნისის N1548 განკარგულებით საჯარო და შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემულია არასადღესასწაულო პრემიაც მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან.

დანამატების გაცემისას 2013, 2014 წლებში დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის⁴¹ და „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები⁴² რადგან აღნიშნული კანონებით გათვალისწინებულია: „კანონით გათვალისწინებულ დანამატების“ და „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დანამატების“ გაცემა, ხოლო 2013 და 2014

ოქტომბრის N 2044 განკარგულება, 2013 წლის 4 ნოემბრის N 2105 განკარგულება, 2013 წლის 21 ნოემბრის N 2199 განკარგულება, 2013 წლის 27 დეკემბრის N 2363 განკარგულება, 2014 წლის 3 თებერვლის N154 განკარგულება, 2014 წლის 25 თებერვლის N246 განკარგულება, 2014 წლის 22 აპრილის N567 განკარგულება, 2014 წლის 27 მაისის N809 განკარგულება, 2014 წლის 27 მაისის N1218 განკარგულება, 2014 წლის 30 მაისის N829 განკარგულება, 2014 წლის 10 ივნისის N883 განკარგულება, 2014 წლის 26 ივნისის N1548 განკარგულება, 2014 წლის 14 ივლისის N1775 განკარგულება, 2014 წლის 16 ივლისის N 1181 განკარგულება, 2014 წლის 22 ივლისის N1778 განკარგულება, 2014 წლის 21 ივლისის N1244 განკარგულება, ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 26 დეკემბრის N2464 ბრძანება.

⁴¹ მუხლი 37. შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) პუნქტი 1 „მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.“

⁴² მუხლი 22. თანამდებობრივი სარგოები, პრემიები, დანამატები და დახმარებები, პუნქტი 3 2013 და 2014 „წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე პრემიები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დანამატები და დახმარებები გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამასთანავე, 2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გაზარდონ მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არა უმეტეს იმავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

წელს 3,070,724 ლარის და 3,207,561 ლარის დანამატები გაცემულია ისე რომ მათი გაცემა არცერთი კანონით არ ყოფილა გათვალისწინებული და არც საქართველოს კანონმდებლობით ყოფილა დადგენილი. აგრეთვე, არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო კლასიფიკაციით” განსაზღვრული დანამატის (21114) ცნება⁴³. დანამატებთან დაკავშირებით გამოცემული თბილისის მერის და ვიცე მერის განკარგულებებით⁴⁴, დანამატები დანიშნულია წინასწარ წლის დასაწყისიდან მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად ისე, რომ დანამატების გაცემის საფუძვლებში არ არის აღნიშნული დანამატის გაცემის დასაბუთება. განკარგულებებში აღნიშნულია, რომ დანამატები გაიცემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის და „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის⁴⁵ შესაბამისად. ფაქტიურად ადგილი აქვს კონკრეტულ თანამშრომლებზე წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატისას.

2015 წელს შეცვლილია როგორც დანამატების გაცემის შესახებ თბილისის მერის ბრძანებების⁴⁶ გამოცემის საფუძვლები, ისე დანამატების შესახებ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი და „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დანამატების“ ნაცვლად ჩაწერილია „დანამატი“, მიუხედავად ამისა, დანამატების გაცემისას არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო კლასიფიკაციით” განსაზღვრულ დანამატის (21114) ცნება. დანამატები დანიშნულია წინასწარ წლის დასაწყისიდან მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად. შესაბამისად, დანამატების გაცემის საფუძვლებში არ არის აღნიშნული დანამატის გაცემის დასაბუთება - „არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა... ადგილი აქვს კონკრეტულ თანამშრომლებზე წინასწარ,

⁴³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით “საბიუჯეტო კლასიფიკაციით” განსაზღვრულ დანამატის (21114) კლასიფიკატორის ცნება: აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს.

⁴⁴ დანამატების შესახებ თბილისის მერის განკარგულებები: 2013 წლის 17 იანვრის N88 განკარგულება, 2013 წლის 26 მარტის N522 განკარგულება, 2013 წლის 14 მაისის N885 განკარგულება, 2013 წლის 15 ივლისის N1479 განკარგულება, 2013 წლის 26 სექტემბრის N2127 განკარგულება. და ვიცე მერის განკარგულებები: 2013 წლის 31 დეკემბრის N 2980 განკარგულება, 2013 წლის 31 დეკემბრის N 184 განკარგულება, 2013 წლის 31 დეკემბრის N201 განკარგულება, 2014 წლის 25 მარტის N 620 განკარგულება, 2014 წლის 1 აპრილის N 709 განკარგულება, 2014 წლის 1 სექტემბრის N 427 განკარგულება, 2014 წლის 1 სექტემბრის N 443 განკარგულება, 2014 წლის 10 ოქტომბრის N 1159 განკარგულება, 2014 წლის 27 ოქტომბრის N 1439 განკარგულება, 2014 წლის 28 ოქტომბრის N 1454 განკარგულება.

⁴⁵ მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს.

⁴⁶ 2013 წლის 17 იანვრის N88 განკარგულება, 2013 წლის 26 მარტის N522 განკარგულება, 2013 წლის 14 მაისის N885 განკარგულება, 2013 წლის 15 ივლისის N1479 განკარგულება, 2013 წლის 26 სექტემბრის N2127 განკარგულება, 2013 წლის 31 დეკემბრის N 2980 განკარგულება, 2013 წლის 31 დეკემბრის N 184 განკარგულება, 2013 წლის 31 დეკემბრის N201 განკარგულება, 2014 წლის 25 მარტის N 620 განკარგულება, 2014 წლის 1 აპრილის N 709 განკარგულება, 2014 წლის 1 სექტემბრის N 427 განკარგულება, 2014 წლის 1 სექტემბრის N 443 განკარგულება, 2014 წლის 10 ოქტომბრის N 1159 განკარგულება, 2014 წლის 27 ოქტომბრის N 1439 განკარგულება, 2014 წლის 28 ოქტომბრის N 1454 განკარგულება, 2014 წლის 31 დეკემბრის N2583 ბრძანება, 2014 წლის 31 დეკემბრის N2584 ბრძანება, 2015 წლის 20 აპრილის N1985 ბრძანება, 2015 წლის 20 აპრილის N1986 ბრძანება და 2015 წლის 1 ივნისის N2513 ბრძანება.

მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატისას.

5.6. მივლინების ხარჯები

ხარჯების დასახელება	2013 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)	2015 წლის 6 თვე, (ლარი)
მივლინების ხარჯები	449,335	409,063	116.781

მერიის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სამივლინებო ხარჯების დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საზღვარგარეთ მივლინებულ პირებს არ აქვთ წარდგენილი მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ჩასხდომის ბარათები). რითაც დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის" მე-18 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად მივლინების დამთავრებიდან, არა უგვიანეს 60 დღისა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები⁴⁷ (მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელ საბუთებს კი წარმოადგენს ბილეთში გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტები მგზავრობის დამადასტურებელ დოკუმენტთან (ჩასხდომის ბარათთან) ერთად)). ასევე არ არის დაცული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ (შემდგომ 2015 წლის 1 იანვრიდან „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 5 „სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა“-ის პუნქტი 2, რომლის თანახმად „ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს“.

2013 წელს მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან მივლინების მუხლით გაწეულია სულ 449,335 ლარის საკასო და ფაქტობრივი ხარჯები. საზღვარგარეთ მივლინებულ პირებს არცერთ შემთხვევაში არ აქვთ წარმდგენილი მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ჩასხდომის ბარათები).

გარდა ამისა გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამოებები კერძოდ, თბილისის მერი მივლინებული იყო ქ. პარიზში 2013 წლის 20 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით, მერიის ადმინისტრაციის უფროსის 8 მაისის N582 განკარგულებით. მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 22 მაისის N644 განკარგულების შესაბამისად, სამსახურებრივი

⁴⁷ 18. მივლინების დამთავრებიდან:

ა) არა უგვიანეს 60 დღისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები,

აუცილებლობიდან გამომდინარე⁴⁸, მივლინებულმა პირმა შეწყვიტა მივლინება. მივლინებული პირის მიერ სასტუმრო „Marriott“-ის ნომერი ფაქტიურად დაქირავებულია 2 დღე-ღამის განმავლობაში, მაგრამ გადახდა განხორციელებულია 4 დღე-ღამის განთავსებისათვის⁴⁹. სულ გადახდილია 7,960 ლარი (3,666.36 EURO). აქედან ზედმეტად გადახდილი 2 დღე-ღამის ღირებულებამ შეადგინა 3,502 ლარი (1,621 EURO). მერიის ადმინისტრაციის განმარტებით ვერ მოხერხდა ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.⁵⁰ ამასთან, დარღვეულია "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის" მე-15 პუნქტის N3 დანართით ჩამოთვლილი პირებისთვის სასტუმროში დაქირავებული ნომრის ფაქტიურად გაწეული ხარჯებით ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან წარმოდგენილი სასტუმრო მომსახურების ხარჯების ამსახველი დოკუმენტის მიხედვით ანაზღაურებულია ისეთი ტიპის ხარჯები, როგორიცაა: სარესტორნო მომსახურება ოთახში, მინიბარი, ოთახის მომსახურება (გაურკვეველია მომსახურების სახე)⁵¹, რამაც ჯამში შეადგინა 601 ლარი (278 ევრო) რადგან აღნიშნული ხარჯები არ წარმოადგენს ნომრის დაქირავების ღირებულებას. ასევე აღსანიშნავია, რომ მივლინების შეწყვეტის შემდეგ - 24 მაისს, ქვითრით ანაზღაურებულია და ფაქტობრივ ხარჯად აღიარებულია ავტომანქანების დაქირავების ხარჯები 2,334.04 ლარის (1,075 ევრო) ოდენობით. შესაბამისად, არ დასტურდება ხარჯის სამსახურებრივი საჭიროებისთვის გამოყენება.

ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 19 ნოემბრის N 2184 განკარგულების შესაბამისად 21 ნოემბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით ქ. რომში განხორციელდა თბილისის მერის მივლინება. სასტუმროს ხარჯში შესულია მინი ბარისა და ფიტნესის თანხა რომელიც შეადგენს 709.23 ლარი (312 ევრი), რომელიც სრულად არის ანაზღაურებული.

ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 23 ოქტომბრის N2054 განკარგულების შესაბამისად 28 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით თბილისის მერი მივლინებული იყო ბელგიაში. მივლინების ხარჯში ჩამოწერილია სასტუმროს ხარჯში შესული მინი ბარის თანხა 109.7 ლარი (48.2 ევრო), რომელთა ანაზღაურებაც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესით“ გათვალისწინებული არ არის.

2014 წელის მივლინების მუხლით გაწეულია სულ 409,063 ლარის საკასო და 408,587 ლარი ფაქტობრივი ხარჯები. ქვეყნის გარეთ განხორციელებულ მივლინებებზე გაწეულია 395,616.02 ლარის ფაქტობრივი ხარჯი. ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სამივლინებო ხარჯების დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საზღვარგარეთ მივლინებულ პირებს მხოლოდ 29,634.39 ლარის ოდენობის მივლინების ხარჯებზე, სულ 12 შემთხვევაში აქვთ წარმოდგენილი მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ჩასხდომის ბარათები).

⁴⁸ თბილისის მერის ადმინისტრაციის ღონისძიებათა უზრუნველყოფისა და დიპლომატიური წამომადგენლობათა ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი

⁴⁹ გადახდა განხორციელდა 22.05.2013წ. მივლინების დასრულების თარიღისათვის

⁵⁰ მერიის ადმინისტრაციის 2013 წლის 9 ოქტომბრის N 10-7/132821019

⁵¹ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესით“ ასეთი ხარჯების ანაზღაურება გათვალისწინებული არ არის

2015 წელის 6 თვეში მივლინების მუხლით გაწეული სულ 116,781 ლარის საკასო და 83,266 ლარი ფაქტობრივი ხარჯები. ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სამივლინებო ხარჯების დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საზღვარგარეთ მივლინებულ პირებს მგზავრობის მხოლოდ 35,018,79 ლარის ოდენობის მივლინების ხარჯებზე, სულ 9 შემთხვევაში აქვთ წარმოდგენილი მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ჩასხდომის ბარათები).

5.7. საწვავის ხარჯები

ხარჯების დასახელება	2013 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)	2015 წლის 6 თვე, (ლარი)
ტრანსპორტის ექსპლ. და მოვლა-შენახვის ხარჯები	2,262,196	2,014,274	623,317

წარმოდგენილი ინფორმაციების თანახმად, საკმაოდ დიდია მერიას დაქვემდებარებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის ხარჯები. ხშირ შემთხვევებში ავტომანქანებზე გაცემული საწვავის კილომეტრაჟებში გადაყვანით, გამომდინარეობს, რომ მერიის კუთვნილი ავტომანქანების უმეტესობა თითქმის სულ მოძრაობაში იყო და საშუალოდ დღიური (კვირა დღისა და უქმე დღეების ჩათვლით) გარბენი 150-დან 370 კმ-მდე მანძილს შეადგენდა. მაგალითად:

ავტომანქანა კია სერატოს (სახ.N VWW-931) საწვავის ხარჯი 2013 წელს შეადგენდა 4,885 ლიტრ ბენზინს. იმის გათვალისწინებით, რომ 100 კმ-ზე წვის ნორმა 4.6 ლიტრია, ადმინისტრაციაზე მიმაგრებული აღნიშნული ოპერტიული ავტომანქანა წლის განმავლობაში დღეში საშუალოდ ფარავდა 340 კმ მანძილს (კვირა დღეების გამოკლებით).

ქალაქის მერზე მიმაგრებული ავტომანქანა კია კადენზას (სახ.NN NXN-171) საწვავის ხარჯი 2013 წელს შეადგენდა 9,900 ლიტრს. იმის გათვალისწინებით, რომ 100 კმ-ზე წვის ნორმა 9.5 ლიტრია (წარმოდგენილი ინფორმაციით), აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული ავტომანქანის ყოველდღიური საშუალო (კვირა დღეების გამოკლებით) გარბენი დაახლოებით 333 კმ-ია.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსზე მიმაგრებული ავტომანქანა კია პიკანტოს (სახ.N VWW-930) საწვავის ხარჯი 2013 წელს შეადგენდა 4,508 ლიტრ ბენზინს. იმის გათვალისწინებით, რომ მანქანის წვის ნორმა 100 კმ-ზე 4.6 ლიტრს შეადგენს, აღნიშნული ავტომანქანის გარბენი მთელი წლის განმავლობაში საშუალოდ დღეში 313 კმ-ია;

მერიის აპარატის უფროსზე მიმაგრებული ავტომანქანის - კია სერატო (სახ.N NXN-115) საწვავის ხარჯი 2013 წელს შეადგენდა 4,803 ლიტრ ბენზინს, რაც ყოველდღიურად საშუალოდ 236 კმ-ია.

მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეზე მიმაგრებული ავტომანქანის კია სერატოს (სახ.N CQC-850) საწვავის ხარჯიდან გამომდინარე (3,980 ლიტრი), ავტომანქანა დღეში საშუალოდ ფარავდა 196 კმ-ს, გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსზე მიმაგრებული ავტომანქანა - კია ოპტიმა (სახ.N NXN-422) - 198 კმ-ს, უსაფრთხოების სამსახურის უფროსზე მიმაგრებული ავტომანქანა - კია ოპტიმა (სახ.N VWW-470) - 180 კმ-ს, ზედამხედველობის სამსახურის უფროსზე მიმაგრებული ავტომანქანა - კია ოპტიმა (სახ.N

MER-777) - 182 კმ-ს, პრესსამსახურის უფროსზე მიმაგრებული ავტომანქანა კია სერატო (სახ.N NXN-114) - 192 კმ-ს. და სხვა.

ანალოგიურად მაღალია ქ. თბილისის მერიის მიმაგრებული ავტომანქანების საწვავის ხარჯები 2014 წელსაც: უსაფრთხოების საქალაქო სამსახურზე მიმაგრებული ავტომანქანის - კია რიო (სახ. N VWW-931) საწვავის ხარჯიდან გამომდინარე (5,023 ლიტრი), ავტომანქანის გარბენი დღეში საშუალოდ 349 კმ-ია. 344 კმ-ს საშუალოდ გადიოდა (საწვავის ხარჯი - 4,737 ლიტრი) საკურიერო ავტომანქა კია პიკანტო (სახ.N NXN - 310), 258 და 240 კმ-ს შესაბამისად კეთილმოწყობის სამსახურზე მიმაგრებული ავტომანქანები კია პიკანტო (სახ.NN NXN- 520, და 531). საშუალოდ ყოველდღიურად 224 კმ გარბენი აქვს მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეზე მიმაგრებულ ავტომანქანა კია სერატოს (სახ.N NXN - 878), 208 კმ- კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსზე მიმაგრებულ ავტომანქანა კია სერატოს (სახ.N BBU - 499), 300 კმ. აქვს გარბენილი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსზე მიმაგრებულ ავტომანქანას (კია რიო, სახ.N VWW - 930).

2015 წლის 6 თვეშიც მერიის სამსახურებსა და თანამშრომლებზე მიმაგრებულ ზოგიერთ ავტომანქანებზე გაწერილი საწვავის ხარჯებიც საკმაოდ მაღალია. კერძოდ, უსაფრთხოების სამსახურზე მიმაგრებული ავტომანქანის კია რიო (სახ. N VWW-931) - ყოველდღიური საშუალო გარბენი 270 კმ-ია. კეთილმოწყობის სამსახურზე მიმაგრებული ავტომანქანების კია პიკანტო (სახ. NN NXN-503, 480, 520 N VWW-475), შესაბამისად დღეში საშუალოდ 254, 232, 226 და 236 კმ-ია, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურზე მიმაგრებული ავტომანქანების კია პიკანტო (სახ.NN NXN - 289, 306, და 317) - ყოველდღიური გარბენი საშუალოდ შესაბამისად 227, 234 და 228 კმ-ია.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „კია მოტორს ჯორჯია“-ს - N22/09/2014 წერილი ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურისადმი - რეკომენდირებული საწვავის (95 ოქტანობის) მოხმარების პირობებში ავტომობილების მიერ ყოველ 100 კმ-ზე საწვავის საშუალო წვის შესახებ:

ავტომანქანის დასახელება	ძრავის მოცულობა	გადაცემათა კოლოფი	საშუალო წვა 100 კმ-ზე
კია ოპტიმა	2.4		8.1
კია სერატო	1.6	მექანიკური	6.5
კია სერატო	1.6	ავტომატური	7.5
კია პიკანტო	1.0		4.4
კია სპორტიჯი	2.4		9.4
კია კადენზა	3.5		9.5
კია სორენტო	3.5		10.5
კია რიო	1.4	მექანიკური	4.6
კია რიო	1.4	ავტომატური	5.3

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვალის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრავს ავტომობილების კონკრეტული კლასისათვის მიკუთვნების კრიტერიუმებს, ასევე განსაზღვრული ნიშნით მათი თანამდებობრივი ან ზოგადი დანიშნულებით გამოყენების წინაპირობებს. ამავე დადგენილებით ასევე განსაზღვრულია „ეთხოვით ... ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავტომობილების შესყიდვის, ჩანაცვლებისა და განაწილებისას იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპებით“⁵².

ზემოაღნიშნული დადგენილებით განისაზღვრება ავტომობილების კონკრეტული კლასისათვის მიკუთვნების კრიტერიუმები, ასევე განსაზღვრული ნიშნით მათი თანამდებობრივი ან ზოგადი დანიშნულებით გამოყენების წინაპირობები, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გათვალისწინებული არ ყოფილა.

აუდიტის პერიოდში მერიის ადმინისტრაციაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფა ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებების შესაბამისად დამტკიცებული ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში. მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საწვავის ხარჯვის ლიმიტები დაუსაბუთებელია. მომსახურე ავტომანქანების რაოდენობებისა და მათზე დაწესებული ლიმიტების ცვლილებების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ დასაბუთებული განმარტებები წარმოდგენილი ვერ იქნა. აქვე შევნიშნავთ, რომ საწვავის ხარჯვა ავტომანქანების იმ პერიოდისათვის არსებული დატვირთვის მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევაში განხორციელებულია ლიმიტის დარღვევითაც.

ავტომანქანაზე კია სორენტო, სახ. ნომრით VWW-949 (პერსონალური) მაისის თვეში ლიმიტის ზევით დახარჯული აქვს 299.6 ლიტრი პრემიუმის ტიპის საწვავი, ივნისის თვეში ლიმიტის ზევით გახარჯული აქვს 300 ლიტრი საწვავი, სულ ორივე შემთხვევაში დახარჯულია 1,098 ლარის საწვავი, რითაც დარღვეულია ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 16 აპრილის N14.63.493 „ქალაქ თბილისის მერიაში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“ დადგენილების მე-5 მუხლის მოთხოვნები.

ანალოგიურად, 2013 წლის მაისის და ივნისის თვეში ავტომობილ Kia sorento სახ. ნომრით VWW-949 ლიმიტის ზევით დახარჯული აქვს 599.6 (299.6+300) ლიტრი საწვავი, არ იქნა დაცული ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 16 აპრილის N14.63.493 „ქ. თბილისის მერიაში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“ დადგენილების მოთხოვნები. წარმოდგენილი განმარტებით აღნიშნულ პერიოდში საწვავის ხარჯვის გადაჭარბება გამოწვეული იყო შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ პროგრამული ხარვეზით.

⁵² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვალის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი მე-2.

რეკომენდაცია:

ავტომატური საწვავის საშუალო ხარჯის დადგენა შესაძლებელია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო მომსახურებით. რის საფუძველზეც და თითოეული ავტომატური საშუალო ყოველთვიური გარბენიდან გამომდინარე დადგინდება დასაბუთებული ყოველთვიური საწვავის ხარჯის ლიმიტები. ამასთან, ყოველთვიურად თვის დასაწყისში და თვის ბოლოს უნდა მოხდეს სპიდომეტრის მაჩვენებლების აღება და ყოველთვიური გარბენის გაანგარიშება. შემდგომ, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი საშუალო ხარჯისა და რეალური გარბენის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ყოველთვიურად, ფაქტიურად დახარჯული საწვავის რაოდენობა, რაც წარმოადგენს საფუძველს საწვავის ჩამოწერისათვის. (თუ ფაქტიურად დახარჯული საწვავი ნაკლებია ან ტოლია ლიმიტებთან შედარებით, ფაქტიური ხარჯი ჩამოიწერება სრულად, ხოლო თუ საწვავის ფაქტიური ხარჯი აღემატება ლიმიტს, მაშინ ხარჯებში ჩამოწერა უნდა მოხდეს თვიური ლიმიტის ფარგლებში).

ზემოაღნიშნული პროცედურებისთვის საჭიროა, თბილისის მერიამ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №426 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად შეიმუშაოს ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკური მეთოდური მითითებები, შიდა აღრიცხვის წესები და ფორმები⁵³.

5.8. საჯარო მოხელეთა კონკურსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში სავალდებულო წესით კონკურსის გავლას 2014 წლის 31 დეკემბრამდე ექვემდებარებოდა მერიის ადმინისტრაციის - 44, კეთილმოწყობის სამსახურის - 33, ხოლო ზედამხედველობის სამსახურის - 59 დროებით მოვალეობის შემსრულებელი, სულ 133 პირი, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მერიის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო კონკურსის დროულად ჩატარება და კონკურსი დასრულდა 2015 წლის 13 თებერვალს. შესაბამისად, მერიის ადმინისტრაციის მიერ არ იქნა დაცული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30 მუხლის მე - 2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა⁵⁴. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 136

⁵³ მუხლი 3, პუნქტი 7. ორგანიზაციებს, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, უფლება აქვთ შეიმუშაონ ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკური მეთოდური მითითებები, შიდა აღრიცხვის წესები და ფორმები, რომლებსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებენ დარგობრივი სამინისტროები, უწყებები, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში – სახელმწიფო მაკონტროლებელი (მაკონტროლებელი) ორგანოები.

⁵⁴ მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა, 2. დროებით მოვალეობის შემსრულებელი „საჯარო სამსახურში“ ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს 1 წლის ვადით, ხოლო კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე – არა უმეტეს 3 თვის ვადით. იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა დაუშვებელია.

დროებით მოვალეობის შემსრულებელი თვენახევარი მუშაობდა შესაბამის თანამდებობებზე ისე, რომ მათი დანიშვნის შესახებ შესაბამისი დოკუმენტი არ გამოცემულა.

წამყვანი აუდიტორი


უფროსი აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორი ასისტენტი

აუდიტორი ასისტენტი



გურამ ყავლაშვილი

თეიმურაზ გოდუაძე

შალვა ჯავახიშვილი

ბორის მჭედლიშვილი

რუსუდან აბულაშვილი

ნიკოლოზ ღულოთავა